პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

ს. ქ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

კომუნისტი

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.

მთავარი კანტორა: ტბილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე-2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგი: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისთვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადება—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 800 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—45.

ფასი 10,000 მან.
პროვინციაში 12,000 მან.

№ 195 შაბათი, 26 აგვისტო 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი შაბათი, 26 აგვისტო 1922 წ. № 195

დღეს სრულდება 4 წელი სახელოვანი კავკასიის ცალკე არმიის (ყოფ. მეთერთმეტე არმიის) გმირული ბრძოლისა.

დღევანდელი დღე არის საზეიმო დღე საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა კავკასიაში, იმ გამარჯვებისა, რომელიც მძიმე და მედგარი ბრძოლით მოიპოვა ჩაგრულ ხალხთა განმანთავისუფლებელმა დამცველმა წითელმა არმიამ.

კავკასიის ცალკე არმიის 4 წლის თავზე საბჭოთა სოციალისტ. საქართველოს მუშები და გლეხები უგზავნიან თავის მხურვალე სალამს წითელი არმიის ძლევა-მოსილ გმირებს, რომლებმაც გაანთავისუფლეს კავკასიის ხალხი იმპერიალისტების, თეთრ გვარდიელ გენერლების და სოციალ-გამცემლების ჩაგვრისაგან.

გაუმარჯოს დიადს, ძლევამოსილს წითელ არმიას და მის ერთ-ერთ მებრძოლ რაზმს—კავკასიის ცალკე არმიას.

ჩვენი სალამი

მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის ხერხემალია სახელოვანი რუსეთის კომუნისტური პარტია, მატარებელი ფოლადისებური სიმტკიცის.

მსოფლიოს მშრომელთა კლასის წინამძღოლია იგი, აღჭურვილი ნათელი პროლეტარული კლასიური შეგნებით, გამომხატველი ამომავალი კლასის სიდიადის და მძლეთა-მძლეობის.

ძველი, ბურჟუაზიული ქვეყნისადმი სიძულვილითაა ის გაჟღენთილი და ამ სალვთო სიძულვილს და მჩაგვრელ კლასთან ბრძოლას ასწავლის დასავლეთის და ჭაღარა აღმოსავლეთის მშრომელ მასსებს.

მან არ იცის ყოყმანი მტერთან ბრძოლის დროს, მას სჩვევია წინსვლა იარაღით ხელში და თუ უკან იხევს, მხოლოდ ძალის მოსაკრებად, ხელახალი იერიშის მისატანად უცვლელი მიზნის მისაღწევათ.

ოთხი წელიწადია ის სდგას გმირულათ თავის პოსტზე. რესპუბლიკის მტრების წინააღმდეგ. მეოთხე წელიწადია ის ცდილობს ქვეყნის ეკონომიური ჯანმრთელობის აღდგენას. ერთს ხელში რომ ვინტოვკა უჭერია, მეორეთი საქმიანობს სახალხო მეურნეობის დარგში, აჩაღებს შიმქრალ ფაბრიკა ქარხნებს, ფეხზე აყენებს წელგატეხილ სოფლის მეურნეობას. აურიცხველი მსხვერპლი გაიღო მან ამ ბრძოლაში, ხშირად სისხლისაგან იწრიტებოდა, მაგრამ პროლეტარული კლასის ნებისყოფის მოკრეფით, ის სძლევდა ხოლმე მორიგ, ერთი შეხედვით გარდუვალ და დაუძლეველ დაბრკოლებას.

მან მოუპოვა მშრომელთ ხელისუფლება, მან შეინარჩუნა მშრომელთა დიქტატურა, საბჭოთა ძალაუფლება. ასეთია რუსეთის კომუნისტური პარტია, ეს ტვინი და ნება პროლეტარიატისა და სოფლის მშრომელთა.

მისი სისხლი სისხლთაგანი და ძვალი ძვალთაგანია სახელოვანი მუშურ-გლეხური წითელი ჯარი, ლაშქარი მებრძოლი კომუნიზმის, გუშაგი მშრომელთა დიქტატურის, დამცველი საბჭოთა ხელისუფლების. მასში შედღებულია დიადი მიზნის შეგნება, პროლეტარიატის კეთილშობილური აღმაფრენა ფიზიკურ სიძლიერესთან, სამართლიანი საქმისათვის მებრძოლთა სიგმირესთან.

მშრომელთა რევოლიუციის საშოდან იშვა ის, თვითმპყრობელობის ჯარისგან მას დარჩა მხოლოდ საომარი მასალა და რამოდენიმე სამხედრო საქმის მცოდნე სპეციალისტი, მქონებელ კლასებიდან გამოსული, თავისი წყობილება, თავისი ორგანიზაციამ მან გასჭედა თითონ კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით.

თავისი საკუთარი სახე მან მიიღო იმ მრავალ სისხლიან ბრძოლა შეტაკებებში, რომელსაც ის აწარმოებდა დასავლეთით და აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით.

ყველგან ის იჩენდა საარაკო სიგმირეს, გამძლეობას, უნარს. მან უკუაქცია უთვალავ ფრონტებზე მეფის დაგეშილი გენერლების არმიები, შორს გადისროლა საბჭოთა რესპუბლიკის საზღვრებიდან მსოფლიო იმპერიალიზმის ურდოები.

რუსეთის წითელი ჯარი ანარეკლია რუსეთის კომუნისტური პარტიის და რუსეთის საბჭოთა ძალა-უფლების.

წითელი ვარსკვლავის შუქმოფენილი, კომუნისტური ინტერნაციონალის მოელვარე დროშის ქვეშ დამდგარი, წითელი ჯარი იმედი და სასოებაა საერთაშორისო მუშათა კლასის, მისი სიამაყეა. მაგრამ პროლეტარული, მშრომელთა კლასიური ჯარის შემადგენლობაში არის ნაწილები, რომლებიც ალმასივით ელვარებენ მშრომელთა დიქტატურის დამცველ ჯარში. ერთი ასეთი ნაწილია ჩვენს რესპუბლიკაში დ მთელს ამიერ-კავკასიაში მდგომი, კავკასიის განმათავისუფლებელი „კავკასიის ცალკე არმია“, წინეთ მეთერთმეტე არმია.

1918 წ. აგვისტოში დაიბადა ის სამოქალაქო ომის ჭექა-ქუხილში და ამ დროიდან დაწყებული ბრძოლის კვამლიდან არ გამოსულა. ურალის მთებიდან მოკიდებული, ვიდრე ოსმალეთის საზღვრებამდე, ის შეუპოვარი ბრძოლით სწმენდდა მშრომელთა ტერიტორიას მეფის გენერლებისაგან და საერთაშორისო იმპერიალიზმის შავს ურდოებისგან. ყოველთვის მას მოჰქონდა თანამშრომელთა მეუფება, დამჩაგვრელთა დათურგვნა.

ხიშტის მუშაობას ხალხის მტრების წინააღმდეგ ის ავსებდა პოლიტიკური მუშაობით განთავისუფლებულ ხალხთა შორის, ამას უმატებდა შესვენების დროს თავისი მარჯვენით ხალხისადმი დახმარებას ქალაქებში და მინდვრებში.

ასეთია კავკასიის ცალკე არმია, მშრომელთა არმიის საუკეთესო ნაწილი.

დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ ამ ჯარის არსებობის და ბრძოლის ოთხი წლის თავს. დღეს საბჭოთა რუსეთის და ყველა განაპირა საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა თვალი და გულისყური მიპყრობილია კავკასიის ცალკე არმიისაკენ.

ჩვენი მხურვალე სალამი მას! გაუმარჯოს მას საბოლოოდ! გაუმარჯოს მის მომავლინებელს საბჭოთა ხელისუფლებას!

წითელი არმია დაეხმარა ამიერ-კავკასიის მშრომელთ ყოფილი რეჟიმის დაწყევლილი ნაშთების, ხალხთა შორის მძულვარების დახამხობათ.

აღმოსავლეთის კარებთან

(საუბარი ამხ. ს. ორჯონიკიძესთან)

არა გვგონია საკმაოდ გაცნობილი იყვნენ არა მარტო ფართო მშრომელი მასსა, არამედ თვით მე 11 წითელი არმიის მეომარნი და მუშაკნი იმ როლს, რომელიც ითამაშა ამ სახელოვანმა არმიამ 18—21 წლების პერიოდში,—ასე დაიწყო საუბარი ამხ. სერგომ.

18 წლის დასაწყისში ყუბანში იწყება გაშმაგებული ბრძოლა პირველ, მშვენივრად მოწყობილ კონტრ-რევოლიუციონურ ძალასთან—ოფიცერთა პოლკებთან გენერალ კორნილოვის მეთაურობით. მარტსა და აპრილში კორნილოვს იერიში მიაქვს ეკატერინოდარზე, რომელშიაც მიმდინარეობს ყუბანის ოლქის საბჭოთა ყრილობა; ის იკავებს ქალაქის ნაწილს, მაგრამ მას სასტიკად ამარცხებს ერთ-ერთი ნაწილი მომავალი წითელი არმიისა ამხ. ავტონომოვის სარდლობით. კორნილოვის პოლკები განადგურებულია, თვით კორნილოვი მოკლულ იქნა. მაისში კაიზერის ურდოების წყალობით უკრაინა და დონი გადადიან გერმანულ საოკუპაციო ჯარების ხელში. უკრაინის დამარცხებული ჯარები მოაწყდნენ ყუბანს. ჩრდილო კავკასიის არმიის ნაწილები სოროკინის სარდლობით იკავებენ დონის ნაპირებს და ხდებიან მიუვალ ბარიერად გერმანულ ურდოების შემდეგი წინ წაწევისათვის. მას თავის ჯარების ნაწილი გადაყავს ტომანსკის ნახევარ კუნძულზე გერმანელების სადესანტო რაზმთან საბრძოლველად. ამასთან ერთდროულად გერმანელების მფარველობით დონიდან ყუბანში შემოიჭრებიან გენერალ ალექსეევის მიერ შედგენილ მოხალისეთა არმიის ნაწილები, გენერალების დენიკის, პოკროვსკის და სხვათა სარდლობით.

ჩრდილო კავკასიის არმიას თავზე ატყდება მოხალისეთა არმიის მთელი ძალა, საუკეთესო ოფიცერთა და იუნკრების პოლკების სახით, საუკეთესო გენერლების სარდლობით.

მე-18 წლის დასასრულამდე გრძელდება მთელ ჩრდილო-კავკასიაში უსასტიკესი ბრძოლა მოხალისეთა და ჩრდილო-კავკასიის არმის შორის, რომელიც სავსებით მოწყვეტილი იყო საბჭოთა რუსეთს დ რომელსაც ზურგს უკან ყავდა ჩრდილო კავკასიის და ამიერ კავკასიის თეთრგვარდიელთა მთავრობები. ამ მომენტში ჯერ კიდევ არ არის მოწყობილი დისციპლინიანი წითელი არმია. ცენტრის მთელი ყურადღება, მთელი მისი ძალა ამ პერიოდში მიპყრობილია ჩეხო სლოვაკების ფრონტისკენ.

დენიკინი და ალექსეევი, ითვალისწინებენ რა მომენტს და მათი არმიების მნიშვნელობას საერთო ფრონტზე მოსკოვის წინააღმდეგ, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ჩქარა მორჩნენ ჩრდილო-კავკასიას და თავიანთი ჯარები ჩრდილოეთისაკენ მიაბრუნონ. მაგრამ მომავალი მე-11 წითელი არმია მთელი წლის განმავლობაში აკავებს მათ დ ამით ცენტს აძლევს საშუალებას დაამარცხოს ჩეხო სლოვაკები და შექმნას წითელი არმია. 18 წლის ზაფხულის მიწურულში ჩრდილო-კავკასიის არმიის ნაწილები მოსკოვის ბრძანებით გარდაიქმნებიან მე-11 წითელ არმიად და მის სარდლად დანიშნულია ამხ. ავტონომოვი. შევიწროებული ყოველმხრიდან, მოწყვეტილი რუსეთის ცენტრს, მოკლებული ფულებს, ჩაცმულობას, იარაღს, ტყვია-წამალს, მუსრგავლებული ტიფით, 18 წლის ბოლოს, დამარცხებული მე-11 წითელი არმია, არ სურს რა ჩაუვარდეს მოწინააღმდეგეს, იხევს ასტრახანის ველებით ასტრახანისაკენ.

ბევრ რამის მოთხრობა შეეძლოთ იმ საშინელებებზე რომელნიც გადატანილ იქნება ამ ლაშქრობაში, ამ უკანდახევის მონაწილეებს, რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს მაშინდელ წევრ ამხ. მდივანს და მომარაგების უფროსს, „ოკას“ რ.-ს. საბჭოს ეხლანდელ წევრს ამხ. კვირკელიას. მოითქვეს რა სული არსტრახანში, სიცივის წყალობით გადატანილ საშინელებიდან, მე-11 არმიის დარჩენილი ნაწილები გარდაიქმნებიან მე 33 დივიზიად, რომელსაც არ ერთხელ ჩაუცია მახვილი დონში მომქმედ კრასნოვის თეთრ გვარდიელ ბანდებისათვის. ასტრახანში საფუძველი ეყრება მე 11 არმიის ახალ აღორძინებას დ 20 წ. დასაწყისში ის ასტრახანის ველებით კვლავ მიიწევს მრისხანე ძალად ჩრდილო-კავკასიის და ყუბანის მშობლიურ მხარეებისაკენ.

ამ გზაზე, მე-10 არმიის ნაწილებთან ერთად, ის იპყრობს თეთრგვარდიელების ციხე-სიმაგრეს—ცარიცინს და მიიწევს სტავროპოლისაკენ. ერთის დარტყმით ის ანთავისუფლებს სტავროპოლს, ყუბანს, თერგის და დაღესტნის მთიულებს; განთავისუფლებული ხალხები მას აღფრთოვანებით და უსაზღვრო სიყვარულით ხვდებიან. აპრილის პირველ რიცხვებში ის უკვე დგას აზერბეიჯანის საზღვრებთან. ბაქოს მუშები, რომელნიც განიცდიდენ მუსავატელებისაგან შევიწროვებას და თავის განთავისუფლებას მოელოდნენ წითელ არმიისაგან, აგზავნიან წარმომადგენლებს არმიის შტაბში, წინადადებით, რაც შეიძლება ჩქარა მიშველებოდნენ მათ. აპრილის მიწურულში 11 არმია გადმოდის აზერბეიჯანის საზღვარს, და თითქმის ტყვიის გაუსროლელად 28 აპრილის გათენებაზე ერთი მისი ჯავშნიანი მატარებელი შედის ქალ. ბაქოში. აზერბეიჯანში ცხადდება საბჭოთა ხელისუფლება. ბაქოს პროლეტარიატი და აზერბეიჯანელი გლეხები ხდებიან აზერბეიჯანის განუსაზღვრელი ბატონ-პატრონნი. აზერბეიჯანელ ბეგების და ხანების მიერ მიყენებული საუკუნოებრივი ჩაგვრა ისპობა, და მათი მიწები და სასახლეები გადადიან გლეხების ხელში.

ბოლო ედება ნაციონალურ ბრძოლას და სიძულვილს. პირველ მაისის დღეს 11 არმიის პოლკები ერთი მეორეზე გაივლიან „26“-ის მოედანს, ბაქოს პროლეტარიატი მათ ხვდება აუწერელი აღფრთოვანებით.

ბაქოს ნავთი, რომელსაც მანამდი ფლობდნენ დასავლეთ-ევროპის კაპიტალისტური მტაცებლები, აზერბეიჯანის მშრომელთა ნებით მიდის მსოფლიო რევოლიუციის კერას—საბჭოთა რუსეთის დასახმარებლად, რომელიც მაშინ განიცდიდა სათბობი მასალის უდიდეს კრიზისს. აზერბეიჯანის განთავისუფლებამ უკვე წინასწარ განსაზღვრა საქართველოს და სომხეთის თეთრგვარდიელთა მთავრობათა ბედი. პირველი წითელ არმიელის შემოსვლით ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე სასკვდილო ლახვარი ჩაეცვა შოვინიზმს და ნაციონალურ სიძულვილს, რომელსაც აღვივებდნენ ამიერ კავკასიაში მაშინდელი ბატონ-პატრონნი—დაშნაკები მუსავატები და მენშევიკები, ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან აქტიურ ხალხებს არ დაუღვრიათ ურთიერთშორის ომში არც ერთი წვეთი სისხლი, ამბობს ამხ. სერგო. ამიერ-კავკასიაში დაშნაკელების, მუსავატების და მენშევიკების ხელისუფლების არსებობის 2 ნახ.—3 წლის განმავლობაში, ამიერ-კავკასიის ხალხებს არ ჰქონებიათ მშვიდობიანი შრომით ცხოვრების არც ერთი თვე. საქართველოს ომი სომხეთთან, სომეხ თათართ განუწყვეტელი ხოცვა-ჟლეტა აზერბეიჯანში, დანგრეული ქალაქები, სოფლები, ათეული ათასობით მოკლული და დასახიჩრებული სომხები და მუსულმანები—აი რა ამშვენებდა მუსავატელების ხელისუფლებას აზერბეიჯანში. განუწყვეტელი სისხლის მღვრელი ომი კარაბახში, ზანგეზურში, ნახიჩევანში, მუსულმანურ სოფლების დანგრევა და გაპარტახება სომხეთში,—აგვირგვინებს დაშნაკების პოლიტიკას სომხეთში; ნანგრევები და ცეცხლი სამხრეთ ოსეთში, განადგურება ახალციხელ მუსულმანების, გალაშქრება აჭარაზე, აფხაზეთის ჩახრჩობა სისხლში, ზარბაზნების გუგუნი სამეგრელოს, ლეჩხუმის, საჩხერის, დუშეთის და სხვა სოფლებში, ქართველ გლეხების ამოწყვეტა „ჭეშმარიტ დემოკრატიის“ სახელით—ესაა შედევრი მენშევიკურ პოლიტიკისა.

ასეთი ბედნიერი იყო ამიერ-კავკასიის ხალხთა ცხოვრება საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

საერთაშორისო იმპერიალიზმის ლაქიებს მენშევიკებს, მუსავატელებს და ყველა ჯურის ნაციონალისტებს შესწევთ თავხედობა სთქვან, რომ ამიერ-კავკასიაში წითელი არმიის შემოსვლის შემდეგ დაიღუპა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა რამდენი თვალთმაქცობა და რამდენ სიყალბეა ამ განცხადებაში. ის რესპუბლიკები, რომელთა მთავრობები მაჩანჩალები იყვნენ ხანგამოშვებით ხან ოსმალეთის, ხან გერმანელების, ხან ინგლისის, ხან საფრანგეთის და ხან იტალიის კაპიტალებისა, რესპუბლიკები, რომელთა მთავრობები კანკალებდენ გენერალ ფონ-კრესის, ტომსონის, სულთანის ფაშის, საფრანგეთის კომისარის, ვიგინდარა შევალიეს წინაშე, რომელნიც ამ მთავრობების დაუკითხავად და ნებადაურთველად ურიგებდენ თავის ტერიტორიებს ოსმალეთის, გერმანიის, საფრანგეთის და იტალიის ჯარებს—ამ ვაჟბატონებს ყოფნის თავხედობა ილაპარაკონ წითელ არმიის საოკუპაციო ჯარების შესახებ. არავითარი დამოუკიდებლობა არ იყო მენშევიკების და დაშნაკელების დროს, არამედ იყო მხოლოდ ინგლისის - საფრანგეთის კოლონია მთავრობებით,—რომელნიც იყვენ საერთაშორისო იმპერიალიზმის ლაქიები—მენშევიკები და დაშნაკელები.

მხოლოდ წითელი არმიის ამიერ-კავკასიაში შემოსვლის დღიდან დამყარდა მშრომელი მასების ნამდვილი დამოუკიდებლობა საერთაშორისო კაპიტალისაგან და მისი მოსამსახურე—მენშევიკების, მუსავატელების და დაშნაკელებისაგან. შრომის კაპიტალთან გაცხარებულ მსოფლიო ბრძოლის მომენტში ამიერ-კავკასიის მშრომელი მასები ზიზღით ამგდებენ თავის წრიდან ანტანტის მეგობრების ბარიკატებს და დგებიან მსოფლიო რევოლიუციის ავანგარდის, საბჭოთა რუსეთის მშრომელების გვერდით. აქ არის დაუნგრეველი კავშირი, ნებისყოფის მთლიანობა, მუშტების მთლიანობა, საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელთა გაერთიანება და არავითარი მათგანი ნაციონალისტურ მაწანწალებისა დამოუკიდებლობის თუ „დამოკიდებულების“ შესახებ ოდნავადაც ვერ შეარყევს ამ კავშირს.

„საოკუპაციო“ რუსეთის წითელი არმია თავის ფრთეებს ქვეშ ზრდის და ადგენს აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის ნაციონალურ არმიებს. დღეს ისინი კავკასიის ცალკე არმიასთან ერთად დღესასწაულობენ თავის უფროსი ძმების 4 წლის თავს, და ამაყად დადიან მარშით ამიერ-კავკასიის ქალაქების და სოფლების ქუჩებში.

ჩვენ კი სამღვთო მოვალეობად მიგვაჩნია დავასრულოთ ნაციონალურ ნაწილების შედგენა და მათი დაყენება კავკასიის ცალკე არმიასთან თანამებრძოლებათ. წითელი ამიერ-კავკასია ისტორიული ბედის სურვილით შეურყეველი კავშირით შეეკრა საბჭოთა რუსეთს—მსოფლიო რევოლიუციას. კავკასიის ცალკე არმია—ძლევა მოსილი მებრძოლია ამ ძმური კავშირისა. მშვიდობიანობის დროს, იცავს რა რესპუბლიკის საზღვრებს და ამყარებს რა სიმშვიდეს ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერაციის მუშების და გლეხების შრომასათვის—მტრის მცირე ცდის დროსაც, ჩვენი საზღვრების გადმოლახვისათვის. კავკასიის ცალკე არმიის წითელი არმიელი მზად არის სათანადო პასუხი გასცეს თავხედ მტრებს, თავისი გვერდით დაიცვას მთელ მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ხელშეუხლებლობა. განვლილი 4 წელი იყო გამარჯვებისა და საშინელი წამების წლები. თავის მეოთხე წლის თავს კავკასიის ცალკე არმია მეორედ დღესასწაულობს მშვიდობიან პირობებში კავკასიის ცალკე არმიას არ აქვს უფლება დაჰკარგოს ტყუილად ერთი დღეც კი. მთელი მისი ენერგია, მისი ძალები უნდა მიმართულ იქნას მეომართა სამხედრო პოლიტიკურ აღზრდისაკენ.

კავკასიის ცალკე არმიის წითელ არმიელებს და აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის მუშებს და გლეხებს

26 აგვისტოს კავკასიის ცალკე არმია (ყოფილ XI არმია) დღესასწაულობს 4 წლის თავს.

მძიმე, მაგრამ სახელოვანი გზა განვლო მან საბჭოთა რესპუბლიკის მტრებთან ბრძოლისა და თავის რიგების გასამაგრებლათ გაცხოველებულ მუშაობის მანძილზე.

მშრომელ ხალხის ნებისყოფით შექმნილმა არმიამ გადალახა ყოველგვარი დაბრკოლებები თავის გზაზე.

კონტრ-რევოლიუციამ ვერ გაუძლო მის ძლევა მოსილ იერიშებს.

კავკასია, რომლის შავი ძალებისგან განთავისუფლების საქმეში თავისი წვლილი შეიტანა XI არმიამაც, შევიდა საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ ოჯახში. 1920 წ. დასაწყისში არმია იმყოფებოდა ამიერ კავკასიის კარებთან—ბაქოში.

ამ დროის აგენტების ლაქიების—მუსავატების, მენშევიკების და დაშნაკელების ბატონობის ქვეშ დრტვინავდენ აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის მუშები და გლეხები.

ამ რესპუბლიკების კონტრ-რევოლიუციონური მართველები ყოველი საშუალებით ამწვავებდენ ნაციონალურ შუღლს, იწვევდენ რა ამით სისხლის ღვრას ურთიერთ შორის.

მუსავატელები, მენშევიკები და დაშნაკელები, რომელთაც სძაგდათ მუშურ-გლეხური მასსები, იყვნენ მსოფლიო კაპიტალის ერთგული მსახურნი. ეყრდნობოდა რა მათზე ბურჟუაზია ამაგრებდა თავის პოზიციებს, რათა ხელში ჩაეგდო ამიერ-კავკასიის ეკონომიური სიმდიდრენი დ სავსებით დაემონებიათ ამიერ-კავკასიის ხალხი.

პირველად აჯანყდა ბაქოს მუშა. XI არმიის დახმარებით მან გადენა მუსავატელები.

1920 წლის გაზაფხულზე აზერბაიჯანში მყარდება საბჭოთა ხელისუფლება.

1920 წლის დამლევს სომხეთი ცხადდება საბჭოთა ქვეყნად.

1921 წლის თებერვალში აჯანყებული საქართველოს გლეხობა XI არმიის დახმარებით, სპობენ კონტრრევოლიუციის უკანასკნელ დასაყრდნობს ამიერ-კავკასიაში.

ბურჟუაზიის დასაყრდნობ პუნქტიდან, მთელ მსოფლიოში პირველ მუშურ-გლეხურ საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ, კონტრრევოლიუციის ბნელი ბუდიდან, ამიერ-კავკასიაში ჩნდება კავშირი საბჭოთა რესპუბლიკების, რომელნიც თავის მხრივ გადაბმული არიან საბჭოთა სოც.-ფედ. რუსეთთან ძმური კავშირით. 11 არმიის დახმარებით აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის მუშებმა და გლეხებმა, ჩაიგდეს რა თავის ხელში ძალაუფლება, დაარღვიეს ნაციონალურ შუღლის და მძულვარების ის კვანძი, რომელსაც ასეთი გულმოდგინებით ახვევდენ მუსავატელები, მენშევიკები და დაშნაკელები.

მუშურ-გლეხურ რუსეთის წითელ არმიელები მოვიდნენ ამიერ კავკასიის მშრომლებთან არა როგორც დამპყრობნი და მოძალადენი. მათ გაუწოდეს დახმარების ძმური ხელი ამ მშრომელებს შემავიწროებლებთან და ბურჟუაზიის ლაქიებთან ბრძოლაში.

მშვიდობა ერთა შორის და გულმოდგინე შრომა არის ეხლა გამეფებული ამიერ-კავკასიაში და მშვიდობიან შრომის სადარაჯოზე ამ ჟამად სდგას კავკასიის ცალკე არმია.

მის რიგებში თურქები, ქართველები, სომხები და რუსები თანხმობით იცავენ საბჭოთა რესპუბლიკების ძლევამოსილ კავშირის საზღვრებს და სწავლობენ ბურჟუაზიის უკეთ დამარცხებას, თუ უკანასკნელი კიდევ ერთხელ შეეცდება შეიარაღებული ძალით თავის დაკარგულ ბატონობის დაბრუნებას.

მუსავატელებს, მენშევიკებს და დაშნაკელებს ჯერ კიდევ არა აქვთ დაკარგული ძალაუფლების დაბრუნების იმედი.

ამიერ-კავკასიის მუშები და გლეხები დიდი ხანია არაა რაც შეუდგნენ თავიანთ არმიის შექმნას. მაგრამ ის არ არის ჯერ კიდევ იმდენათ განმტკიცებული რომ თავი დაიცვას ყველა მტრებისაგან.

ამიერ-კავკასიის ყოფილმა მთავრობებმა იციან, რომ მანამ არმია აქ არის, ვერ განახორციელებენ თავიანთ შავ ზრახვებს, ვერ დაამყარებენ თავის ძალაუფლებას, ვერ დაადებენ ხელ ახლა უღელს ამიერ-კავკასიის მუშებს და გლეხებს.

მსოფლიო ბურჟუაზია სავსებით მხარს უჭერს მენშევიკებს, მუსავატელებს დ დაშნაკელებს. ის თითონ ილესავს კბილებს ბაქოს ნავთზე, კავკასიის სიმდიდრეზე და ბათომის ნავთსადგურზე, როგორც მოქმედების დასაყრდნობ პუნქტზე.

გენუის და ჰააგის მოლაპარაკებამ კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ ბურჟუაზიას არ დავიწყებია თავისი გადაწყვეტილება ხელში ჩაიგდოს რ. ს. ს. ფ. რ. სიმდიდრენი.

სამხედრო ძალის შესუსტება აუცილებლად გამოიწვევს მსოფლიო ბურჟუაზიის ახალ შეიარაღებულ თავდასხმას. მის ხიშტების დახმარებით მენშევიკები, დაშნაკელები და მუსავატელები შეეცდებიან ძალა უფლების ხელში ჩაგდებას.

მაგრამ ეს არ მოხდება.

ამის თავდებია კავკასიის ცალკე არმია, რომლის რიგებში მხარ და მხარ მუშაობენ საბჭოთა რესპუბლიკების ძლევა მოსილობის გასამაგრებლად ამიერ-კავკასიის ყველა ხალხთა მეომრები თავის უფროსს ძმებთან, რუს მუშებსა და გლეხებთან ერთად.

მსოფლიო ბურჟუაზიას და მის დამქაშ მენშევიკებს, მუსავატელებს და დაშნაკებს ეს ყველაზე უფრო აშინებთ, მათ იციან, რომ ამიერ-კავკასიის მშრომელთა წითელი არმიის შექმნითა და განმტკიცებით, მათი იმედი წარსულის დაბრუნებისა სამუდამოდ ილუპება.

ამიტომ ასე დაბეჯითებით ცდილობენ ისინი ამ საქმისათვის ხელის შეშლას. ამიტომ ასე გაცხარებით ჰყვირიან ისინი და პირიდან დორბლი გადმოსდით წითელი არმიის აქ ყოფნის გამო.

ამხანაგებო წითელ არმიელებო, კომანდირებო და პოლიტ-მუშაკებო კავკასიის ცალკე არმიისა!

მოგესალმებით თქვენ თქვენი გმირული ბრძოლის და თავგანწირულ მუშაობის ოთხი წლის თავზე.

მტკიცედ იდექით საბჭოთა რესპუბლიკის საფუძვლის დასაცავად.

ფრთხილად დაიცავით მშვიდობიანი შრომა თქვენი ძმების მუშების და გლეხებისა.

ამხანაგებო აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის მუშებო და გლეხებო!

თქვენი ვალია ყოველი ღონე იხმაროთ არმიის მებრძოლთა და მუშაკებისათვის დახმარების გასაძლიერებლად. თქვენი ვალია ყურადღება მიაქციოთ მათ და არ მოაკლოთ მეგობრული მზრუნველობა.

ეს იქნება საუკეთესო გამოხატულება ამიერ კავკასიის მშრომელთა და კავკასიის ცალკე არმიის წითელ არმიელთა შორის არსებულ ძმური კავშირისა.

რუსეთის კომ. პარტიის ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტი.
ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო საბჭო.
პროფ.-კავშირთა ამიერ კავკასიის ბიურო.
ახალგაზრდათა კომ. კავშირის ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტი.

ამიერ-კავკასიის ხალხთა ყოფა-ცხოვრების შესწავლა, მრეწველობას და სასოფლო-მეურნეობის განმტკიცება და აღდგენა, ამიერ-კავკასიის მშრომელისადმი ძმური განწყობილება, ხიშტის გალესვა, თავის ნებისყოფის გამობრძმედვა, მსოფლიო კაპიტალიზმთან ბრძოლისათვის მზად ყოფნა—აი კავკასიის ცალკე არმიის ამოცანები.

მრავალ მილიონიან გამოღვიძებულ აღმოსავლეთის წინა კარებში კავკასიის ცალკე არმიას უჭირავს ხელში წითელი დროშა სოციალისტური რევოლიუციისა.

ძლევამოსილი ძალა

(კავკასიის ცალკე არმიის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს წევრთან ამხ. ელიავასთან საუბრიდან).

18—19 წლ. ზამთარი 11 წითელ არმიის ცხოვრებაში იყო უსაშინელესი ხანა. იყო რა თითქმის ყოველმხრიდან გარსშემორტყმული თეთრგვარდიელების ძალებით, ის იბრძოდა საბჭოთა ქვეყნის ყოველ ტკაველ მიწისათვის, იმ იმედით, რომ გაარღვევდა რკალს და დაახწევდა თავს კრიტიკულ მდგომარეობას. მაგრამ მტრის ძალები თავს ესხმოდენ მას და არმია იძულებული გახდა თავის დაღალულ მხრებზე აეკიდებია კიდევ ახალი ტანჯვა-წამება, რაც დაკავშირებული იყო ასტრახანისკენ უკან დახევასთან.

მოახდინა რა არაჩვეულებრივი გადასვლა, რომლის დროს არმიამ დაჰკარგა თავისი შემადგენლობის მნიშვნელოვანი ნაწილი, იგი იშლება და შემდეგ ხელახლა იწყებს აღორძინებას.

კოლჩაკის ურდოების განადგურება მოხდა სწორედ იმ დროს, როდესაც დაიწყო შემოტევა სამხრეთით და სამხრეთ აღმოსავლეთით მე-11 არმია შევიდა სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის შემადგენლობაში, აქედან მან დაიწყო მოქმედება თეთრ გვარდიელების წინააღმდეგ.

არმიის ნაწილებში მობილიზაციით გაწვეულ კომუნისტების მისვლამ, სასურველი გავლენა მოახდინა წითელ არმიელების სულიერ განწყობილებაზე, რომელთაც ამ დროისათვის უკვე შეისვენეს და არ შეეძლოთ გულხელდაკრეფილნი გაჩერებულიყვენ.

დიდი შრომა გასწიეს ამხ. კიროვმა და კუიბიშევმა მე-11 არმიის აღორძინებისათვის.

არმიის ძლევამოსილი მოძრაობა ცარიცინის აღების შემდეგ კიდევ უფრო ფართოვდება, მცხოვრებნი თანაგრძნობით ხვდებოდენ მის პოლკებს და იჩენდენ მათდამი შეძლებისადაგვარ მზრუნველობას და ყურადღებას.

პოლიტიკური მუშაკები ყოველგვარი საშუალებით ეხმარებოდენ არმიას ადგილებზე საბჭოთა ხელისუფლების მოწყობის საქმეში.

სწარმოებდა კულტურული მუშაობაც.

ჩრდილოეთ კავკასიის და დაღესტანის ხალხთა განთავისუფლებას მოჰყვა აზერბეიჯანის და სომხეთის განთავისუფლება მუსავატელებისაგან და ინგლისელებისაგან.

საქართველოს „დემოკრატიული" რესპუბლიკა მუდამ მტრობდა საბჭოთა რუსეთს, რომლის გამოც მრავალ გაუგებრობას ქონდა ადგილი.

ჩვენი ცდა კეთილ მეგობრულ განწყობილების დამყარებისათვის, უშედეგოდ თავდებოდა.

მაგრამ საქართველოს მშრომლები ამ დროს ახდენდნენ აჯანყებას და მოუწოდებდნენ 11 არმიას დახმარებისაკენ. საქართველოში მყარდება საბჭოთა ხელისუფლება.

წითელი ნაწილების მეცადინეობით არმია ახერხებს ანტი-საბჭოთა აჯანყების ჩაქრობას სომხეთში. ზანგეზურში, ყარაბაღში და ანთავისუფლებს ბანდიტიზმისაგან ქურთისტანს.

შემაერთებელი ხიდი საშუალო აზიისა და ახლო აღმოსავლეთის შორის—ამიერ-კავკასია ხდება საბჭოთა მხარედ,

ბაქოს ნავთი, შავი ქვა და სპილენძის მადანიც რომელიც იზიდავდა იმპერიალისტებს, დღეს მშრომელთა ხელში იმყოფება.

წითელი არმია საშიშარ კედლად არის აღმართული აქ და წინააღმდეგობას უწევს იმპერიალიზმის ყოველგვარ ცდას,—ამბობს ამხ. ელიავა.

ეხლა ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერატიული კავშირი ძლიერია.

კავკასიის ცალკე არმია არის დამცველი ამ კავშირისა. აქ ამიერ-კავკასიაში ეყრება საძირკველი ინტერნაციონალურ ურთიერთობას. ეს მეტად მნიშვნელოვანია მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვებისათვის.

რესპუბლიკები ადგენენ თავიანთ ნაწილებს—11 არმიის მიერ გმირულად განვლილი გზა არის დიდი მასწავლებელი ამ ახლად შედგენილ წითელ ნაწილებისათვის.

ჩვენთვის საჭიროა საცსებით გამზადებული არმია, რომელსაც ექნება უნარი დაამარცხოს სამხედრო ტეხნიკის უკანასკნელი საშუალებით შეიარაღებული მტერი.

ინტერვენცია ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ წითელი ხიშტი უნდა დაუპირდაპირდეს მას.

თვით აღზრდით და საომარი მომზადებით კავკასიის ცალკე არმია უფრო მაღლა უნდა იდგეს ბურჟუაზიულ არმიებზე.

მისი ღირსების გაუმჯობესებისათვის წარმოებულ ბრძოლაში უნდა მოეხმარდეს კავკასიის ცალკე არმიის ყველა მუშაკთა ენერგია.

კავკასიის ცალკე არმიის ვეტერანებო! დიდება და პატივი თქვენ! მზად იყავით ბრძოლისათვის, ხანამ ბურჟუაზია ჯერ კიდევ ცოცხალია.

წითელი არმია და აღმოსავლეთი

დღეს კავკასიის ცალკე არმიის დღესასწაულია. კავკასიის ცალკე არმია იმყოფება საბჭოთა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში. ის იცავს მათ გარეშე მტრებისაგან და საზოგადოთ ყოველგვარ თავდასხმისაგან. კავკასიის ცალკე არმიის შემადგენლობაში შედიან რუსული, თათრული, სომხური, ქართული და აფხაზური ნაწილები. მთელი ეს მასსა ამიერ კავკასიის მშრომელი ხალხის საშოდან შექმნილი, შემჭიდროებული საბჭოთა რუსეთის მუშებსა და გლეხებთან, თავისი მოვალეობის სრული შეგნებით, იცავდა, იცავს და მომავალშიაც დაიცავს ჩვენი მხარის ხშირვალე მინდვრებს და თოვლიან მთებს, გლეხურ საქართველოს, ბაქოს მუშებს, მუსლიმანთა სოფელს, სომხეთის სოფლელებს, ნახიჩევანის რესპუბლიკის მშრომელთ, აფხაზეთს, და ერთი სიტყვით მთელ მრავალმილიონიან, მშვენიერ, მშრომელ კავკასიას.

„ოკუპანტების არმია", — ეგრედ წოდებული კავკასიის ცალკე არმია (ც. კ. ა.) იმ ბატონობის ჟარგონზე, რომელნიც ამიერ-კავკასიის მუშებმა და გლეხებმა გააძევეს აქედან, რომელნიც ეხლა სტკეპნიან დერეფნებს და ატუზული არიან იმპერიალისტური მინისტრების შესასვლელ კარებში და რომლებიც თავის მეგობრების საშუალებით—ამავე მინისტრების ლაქიებს: ჰენდერსონის, ტომას და ვანდერველდეს შუამდგომლობენ ჩვენში ჟორდანიას და კამპანიის ძალაუფლების აღდგენის შესახებ. ამიტომ საქვეყნოთ მოითხოვენ ამიერ კავკასიიდან წითელი არმიის გაყვანას. ეს ხალხი თავის დროზე თითონვე იწვევდენ ვილჰელმის ჯარების ან ინგლისის მტაცებლურ არმიის შავ კანიანებს, და ამ ჟამად მოელიან, მაგრამ ვერ მოისწრებიან აქედან მუშურ-გლეხურ არმიის გასვლას, მათ აქვთ თავისებური თან და თანობა: წითელ კანიანები ამტკიცებდენ მათ ბატონობას, წითელი არმია კი იცავს ამიერ კავკასიის მშრომელთ მენშევიკებისაგან, ბურჟუაზიისაგან, იმპერიალისტურ ევროპისაგან.

ყოველგვარი ლაპარაკი კავკასიის ცალკე არმიის საოკუპაციო მიზნების შესახებ უქმი და სასაცილოა. დიახ, იმპერიალისტურია არმია, თუ ის, როგორც ერთი კლასის არმია, ოპეკუნობას უწევს მე 2 კლასს ლამობს მისი ინტერესების „დაცვას" ასეთია ინგლისის და საფრანგეთის არმიები, კოლონიალურ ქვეყნების მიმართ, ჩვენ მოწინააღმდეგეებმა კარგათ იციან, რომ კავკასიის ცალკე არმია—მუშურ გლეხური არმიაა და ის იცავს საბჭოთა ხელისუფლებას, ე. ი. მშრომელთ ხელისუფლებას. აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის თავის დროზე აჯანყებულმა მშრომელ მასსებმა, თავის არმიის უქონლობის გამო (მათ არ შეეძლოთ მაშინ ყოლოდათ არმია) ყოველ გვარ რყევის გარეშე გადასწყვიტეს ამიერ კავკასიის კარებთან მდგარ დამზადებულ წითელ არმიის ძალებზე დაყრდნობა, ისე როგორც, ეხლა საბჭოთა საქართველო, სომხეთი ან აზერბეიჯანი თავისი აღმშენებლობის პროცესში ხშირად იმზირებიან საბჭოთა რუსეთისაკენ, სწავლობენ მისგან, იყენებენ თავიანთვის რუსეთის მუშათა და გლეხთა მდიდარ გამოცდილებას, კავკასიის ცალკე არმიის ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ტერიტორიაზე არსებობამ შესაძლებლობა მისცა უკანასკნელთ გაცილებით ადრე, ვინემ ეს იქნებოდა სხვადასხვა პირობებში, შექმნათ თავისი არმია. ამგვარად რა ლაც ერთი წლის განმავლობაში საქართველომ, სომხეთმა და აზერბეიჯანმა მოაწყვეს თავიანთი წითელი არმიები, გააერთიანეს ისინი ურთიერთშორის და ოპერატიულად დააკავშირეს რუსეთის ნაწილებთან ყოფილ მე 11 არმიის უძლიერეს აპარატის საშუალებით. ყველა ამან ერთად შექმნა კავკასიის ცალკე არმია. ის შეიქნა მუშათა და გლეხთა არმიით, რომელიც ფრთხილად უთვალთვალებს საბჭოთა ამიერ-კავკასიის მშვიდობიანობას და უშიშროებას. ყოველმა მშრომელმა ჩვენის მხარისა მშვენივრად იცის, რომ ცალკე კავკასიის არმიის როლი ამიერ-კავკასიაში უდიდესია და ეს როლი ვრცელდება არა მარტო აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკებზე, არამედ მთელ ეგრედ-წოდებულ ახლო აღმოსავლეთზე. აღმოსავლეთის ერებს აღარ სურთ კიდევ მონებათ დარჩენა. ოსმალეთმა გამოიღვიძა. ის არ სცნობს აღმოსავლეთში არც ინგლისის, არც საფრანგეთის და არც ამერიკის ჰეგემონიას, ვინაიდან ეს ნიშნავს კოლონიალურ მხარეების მშრომელთა სასტიკ ექსპლოატაციას.

მუსლიმანური აღმოსავლეთი მიისწრაფვის შეგნებულ ცხოვრებისაკენ, თავის უდიდეს სიმდიდრეების დამოუკიდებელ ექსპლოატაციისაკენ. განუწყვეტელმა იმპერიალისტურმა ომებმა აუხილა მას თვალები. მესოპოტამიის განადგურებამ, სპარსეთის დამცირებამ, ინდოეთის საშინელებებმა ნათლად გამოააშკარავეს „თავისუფლების მოყვარულ" ინგლისის „კეთილშობილ" საფრანგეთის და „ქველმოქმედი" ამერიკის მტაცებლური ბუნება. რას იზამ! თათრებს, სპარსელებს, ინდოელებს, არაბებს და სხვებს უკვე არ სურთ კვლავ დარჩეს მონებათ სხვის ხელქვეით. ისინი არ სცნობენ თავის გუშინდელ ბატონებს, ისინი ღვიძებენ ახალი ცხოვრებისათვის. ისინი ილაშქრებენ ინგლისისა ტ სხვა „კულტურულ" სახელმწიფოების ბურჟუაზიის წინააღდეგ. აღმოსავლეთის კოლონიის ნაცვლად იქცევა მათ თანასწორ ქვეყნად. მასსები ღებულობენ ახალ, შეგნებულ ცხოველმყოფელ თავისუფალ იერს. ამ ბრძოლაში მათ ეხმარებათ ის კლასი, რომელმაც თავის ქვეყანაში დაამარცხა თავისი ბურჟუაზია და ეხლა მიისწრაფვის ძმურ კავშირის დამყარებისაკენ მთელი ქვეყნის პროლეტარიატთან რომელიც ისწრაფვის სამუდამოდ მოსპოს ბატონობა მსოფლიო მტაცებელთ იმ ქვეყნის პროლეტარები ტ მშრომელნი, რომლებმა პირველად ააფრიალეს კაპიტალის წინააღმდეგ დროშა შრომის ამბოხებისა, დიდი რუსეთის მუშები და გლეხები წარმოადგენენ იმ ღერძს რომლის გარშემო იკრიბებიან ევროპაში გაბატონებულ კლასების მიერ უკმაყოფილონი და გაყვლეფილი მასსები და კოლონიის მკვიდრნი.

ამ ჟამად ოსმალეთი აწარმოებს უსწორო ბრძოლას მტაცებელ ინგლისთან და მის დაქირავებულ ჯარებთან—ბერძნებთან. აწარმოებს რა ბრძოლას, ახალგაზრდა ნაციონალური ოსმალეთი თავის ზურგს უკან ხედავს რევოლიუციონურ რუსეთს და ასეთსავე რევოლიუციონურ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს ის დამშვიდებულია თავისი ზურგით. ის გრძნობს, მას ესმის, რომ საბჭოთა რეჟიმი სავსებით მხარს უჭერს ამხედრებულ ოსმალეთს. აღმოსავლეთმა იცის, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება თანაუგრძნობს და ეხმარება მას და მასთან ერთად მიდის საერთო მტრის, სისხლის მსმელ კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში, ამ მოძრაობაში დიდი ამოცანები აქვს საბჭოების რეალურ ძალას—წითელ არმიას, რომელიც შესდგება იმ ხალხთა მშრომელებისაგან, რომლებიც უკვე ამხედრდენ, იბრძვიან და ცეცხლსა და მახვილს აძლევენ ექსპლოატაციისა და კაპიტალის ბატონობას.

წითელი არმიის ამოცანები არ განისაზღვრება მხოლოდ ერთი სახელმწიფოთი. მზგავსად იმისა, როგორც ინტერნაციონალურია პროლეტარიატი, საერთაშორისოა და მსოფლიო მისი შეიარაღებული ძალა—წითელი არმია.

მაგრამ წითელი არმია არ ისახავს მიზნად ვისმეს დაპყრობას, ასე მუხანათურად და უსინდისოდ სტყუიან მხოლოდ კაპიტალის აგენტები: ჰენდერსონები, ჩერნოვები, ჟორდანიები და სხვები, „რევოლიუციონური დემოკრატიის" უგვარგვინო გმირები.

არა, წითელი არმია იქ არის, სადაც ტანჯვის ცრემლი ღვრება, სადაც იმის ძახილი დახმარებისათვის და მოწოდება მშრომელ ძმებისადმი—განდევნონ საზიზღარი მტრები და მისი აგენტები, რომლებიც სხედან კოლონიალ მონის კისერზე და სისხლს სწოვენ მას, კაპიტალიზმის გასაძლიერებლად.

წითელი არმია ინტერნაციონალურია, როგორც შემადგენლობით, ისე თავის მიზნებით, ვინაიდან ის პროლეტარიატის სისხლი და ხორცია. ის მტერია კაპიტალისტის, მტერია ყველა ექსპლოატატორების. და ის ებრძვის, ანადგურებს, ახშობს და ანგრევს კაპიტალს, ყოველგვარ კაპიტალისტურ ჯგუფს, ყოველგვარ კაპიტალისტურ კლასს, დღეს ის იცავს ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს. გუშინ კი მას მოუწოდებდენ საშველად სპარსეთის რევოლიუციონერები.

თუ ხვალ იქ, გამოღვიძებული აღმოსავლეთი მოუწოდებს მას დახმარებისათვის, მაშინ ჩვენი გამოცდილი წითელი არმია აასრულებს ამასაც, დაეხმარება მას თავისი საკუთარი წითელი არმიის შექმნაში და შეუკავშირდება მას მჭიდრო ძმური კავშირით.

წითელი არმიის როლი მარტო ბრძოლაში არ გამოიხატება. ის თავის ბუნებაში ატარებს ღრმა კულტურულს, აღმშენებლობითს და საზოგადო მიზნებს. წითელი არმია განხორციელებაა საზოგადოებრივი შეგნებისა და კოლონიალურ ხალხთა ნაციონალურ აღორძინების.

წითელ არმიას მოაქვს თან წერა-კითხვა, წიგნები, განათლება. წერა-კითხვის ცოდნის, კულტურულ განმანათლებელ მუშაობის გარეშე არ არის და არც შეიძლება იყოს წითელი არმია. მისი ძალა და შეურყეველი ფუძე, ეს არის შეგნება, რის მიღწევა შეიძლება განათლებით. აი რა მიაქვს წითელ არმიას აღმოსავლეთში ნაცვლად გახრწნილობისა, ოპიუმისა, მესსიონერულ პირფერობისა, უზომო ექსპლოატაციისა, ჩამორჩენილობისა და სიბნელისა; რომელთაც ადგილი აქვს მუსულმანურ მსოფლიოში, მთელს აზიაში იმპერიალისტური ევროპის წყალობით.

წითელი არმია მონაწილეობას ღებულობს სააღმშენებლო ცხოვრებაში: ის უშუალო მონაწილეობას იღებს ხელისუფლების, სახალხო მეურნეობის ორგანიზაციაში.

იბრძვის რა ექსპლოატაციის და იმპერიალიზმის წინააღმდეგ იცავს დაჩაგრულ ერებს და ექსპლოატაციის ქვეშ მყოფ კლასებს, წითელი არმია ქმნის და აშენებს, ასწავლის და სწავლობს.

ასეთს როლს ასრულებს დღეს წითელი არმია ახლო-აღმოსავლეთის წინა კარებში, მხოლოდ და მხოლოდ ასეთი აღთქმით იგი განაგრძობს სვლას ყველა იმათკენ, რომლებიც ოდესმე გაიწვევენ მას, მოისურვებენ დაეყრდნონ მის გამოცდილებას და რევოლიუციონურ ძლიერებას. ამიერ კავკასიაში მუშაობის დროს კავკასიის ცალკე არმიამ ბრწყინვალედ დაამტკიცა, რომ მხოლოდ იგი უნდა ჩაითვალოს დაჩაგრულ ხალხთა მშრომელ მასსების დამცველად. იმის მაგალითმა გვაჩვენა, თუ რაოდენ ღრმად ეზიზღება იგი ევროპის კაპიტალს მისი კომმივოიაჟორების ყოფილ წვრილ ბურჟუაზიულ მთავრობების სახით.

რომ არ ყოფილიყო წითელი არმია, არ იქნებოდა მშვიდობიანი შრომა, ერთაშორის მშვიდობიანობა და სრული გარანტია ამიერ კავკასიის ცხოვრების მომავალ განვითარების საქმეში. აღმოსავლეთის ხალხი, ჩვენ ვიცით, ლაპარაკობენ: სანამ არის წითელი არმია, სანამ იგი აქ დგას, ჩვენ ახლოს, ჩვენ საიმედო ზურგში, ჩვენ დამშვიდებული ვართ, ჩვენ გაბედულად და მედგრად განვაგრძობთ ჩვენ ბრძოლას საზიზღარ მტრის წინააღმდეგო.

გაუმარჯოს წითელ არმიას!
გაუმარჯოს მის ნიმუშს:
ამიერ-კავკასიის ცალკე არმიას!

ა. მიასნიკოვი.

ძმური სალამი

საქართველოს საგანგებო კომისიის და მასთან არსებულ პოლკის კომუნისტ-მუშათა, მოსამსახურეები და წითელ-არმიელების საერთო კრებამ, მოისმინა რა მოხსენება კავკასიის ცალკე არმიის 4 წლის ისტორიის შესახებ, მიიღო ერთხმად შემდეგი რეზოლიუცია:

„ოქტომბრის დიდი რევოლიუციის მონაპოვართა და მუშების და მშრომელ გლეხობის ინტერესების საუკეთესო დამცველი, კავკასიის ცალკე არმია ამიერ-კავკასიის მშრომელთა პირველ დაძახებისთანავე შეუდგა თავისი პროლეტარული მკერდით უკანასკნელთა დაცვას, ყოველგვარ გაჭირვებასა და მძიმე პირობების მიუხედავად. და ამჟამად კავკასიის ცალკე არმია მტკიცე დარაჯათ უდგას ამიერ-კავკასიის მშრომელთა ინტერესებს, მუდამ მზად არის დაიცვას ის საერთაშორისო იმპერიალიზმის თავდასხმისაგან.

კავკასიის ცალკე არმიამ გაანთავისუფლა საქართველოს მშრომელნი მენშევიკების უღლისაგან, რომელიც საქართველოს მუშებს და გლეხობას უქადდა ანტანტის იმპერიალისტების სრულ მონებად გახდომას.

საუკუნო ხსენება კავკასიის ცალკე არმიის გმირებს, რომელნიც დაეცენ ამიერ-კავკასიის მშრომელთა განთავისუფლებისა ბრძოლაში.

დიდება ცოცხლად დარჩენილ კავკასიის ცალკე არმიის გმირებს, რომელნიც ამ ჟამად ფრთხილად სდგანან მშრომელთა დიქტატურის სადარაჯოზე.

სალამი თქვენ კავკასიის ცალკე არმიის გმირებო, რომელთაც მედგრად გიჭირავთ თავის დაკოჟრიანებულ ხელებში ინტერნაციონალის და კომუნის წითელი დროშა.

გაუმარჯოს ჩვენს ძმურს მუშა-გლეხურ კავკასიის ცალკე არმიას!

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების წითელ არმიას!

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა მსოფლიო წითელ არმიას, არმიას კომუნისტური ინტერნაციონალისას!

სასურსათო გადასახადის კამპანია

ახალქალაქის მაზრა.

როგორც ახალქალაქის სამაზრო სასურსათო კომისარის ცნობა გადმოგვცემს, საგანგებო კომისიამ უკვე გამოარკვია ის ზარალი, რომელიც სეტყვამ და ნიაღვარმა მიაყენა ნათესებს ივლისის 5-მდე. ამ ცნობებით მთლად მოსპობილია ნათესები 667 დესეტინის სივრცეზე, 439 დესეტინაზე განადგურებულია ნათესების 75 პროც. ხოლო 134, 5 დესეტინაზე გაფუჭებულია ნათესების 25 პროც.

ახალციხის მაზრა.

გადამხდელთა სიები მთელს მაზრაში შედგენილი და დამტკიცებულია სამაზრო სამეულის მიერ. გადასახადის შეგროვება დაიწყო. ფაქტიურად გადასახადის აკრება სწარმოებს სამს თემში. აგვისტოს 22-მდე შეგროვილია 3.000 ფუთი ხორბალი. სასურსათო გადასახადის ნაცვლად შემოვიდა ფულად 8.596.000 მან.

მაზრაში, როგორც იქაური სამაზრო სასურსათო კომისარი იტყობინება, შეიძლება დაიზადება კართოფილისა, რომლის ფასიც არის 18—20 ათასი მან. ფუთი. ქერი ამ ჟამად ფასობს 100.000 მან. ფუთი, ბაზარზე გასაყიდი ხორბალი სრულიად არ არის, რის გამოც მისი ფასი გამოურკვეველია.

სიღნაღის მაზრა.

მაზრას წელს შეწერილი აქვს 100.000 ფუთი ხორბალი, რაც მთელის მაზრის ნათესების მიხედვით დიდი არ არის: დესეტინაზე მოდის სულ 2—3 ფუთი. შარშანდელ გადასახადთან შედარებით კი წლევანდელი გადასახადი მეტად მცირეა. შარშან, ისიც ცუდი მოსავლის დროს სიღნაღის მაზრაზე გაწერილი იყო 153.000 ფუთი ხორბალი. შარშანდელი გადასახადის გაწერა მოხდა გლეხების დაუსწრებლად, წელს კი ყველა თემებმა თავის საბჭოებისა და გლეხთა წარმომადგენლებმა [illegible] განაწილეს ერთმანეთს შორის გადასახადი. ამ გარემოებამ ბოლო მოუღო იმ აუარებელ საჩივარს და პროტესტებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა შარშან.

გადასახადის, აკრება მაზრაში წარმატებით მიმდინარეობს. ოფიციალურ ცნობებით შეგროვილია აგვისტოს 20-მდე: ზემო მაჩხაანში—2.492 ფ., ხორბალი და 465 ფ., ქერი, ქვემო მაჩხაანში—1.613 ფ., ხორბალი და 210 ფ., ქერი, ტიბაანში—1.850 ფ., ხორბალი, მირზაანში—1.211 ფ., ხორბალი და 91 ნახ. ფ., ქერი, ბოდბის ხევში—939 ფ., ხორბალი, ქელმეჩურში—373 ფ., ხორბალი, ბოდბეში—783 ფ., ხორბალი და 142 ფ., ქერი, სადგურ ანაგაში 21 ნახ. ფ., მატყლი და წითელ წყაროში—624 ნახ. ფ., ხორბალი. სულ შეგროვილია მატყლი—21 ფუთი, ხორბალი—9.886 ნახ. ფუთი და ქერი—909 ფუთი.

რადიო-დეპეშები

(„კავროსტა")

გერმანია და ანტანტა.

საფრანგეთი და ინგლისი.

ნაუენი. 24 აგვისტო (რადიო). იხილავს რა პუანკარეს მიერ ბარ ლედიუკში წარმოთქმულ სიტყვას გაზ. „პელ-მელი" და „გლობი" აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის პრემიერს როგორც ჩანს მხარი დაუჭირა პარიზის პრესამ, რომელსაც სძაგს ინგლისი უფრო მეტად, ვიდრე გერმანია. საფრანგეთმა ხელიდან გაუშვა შემთხვევა მიეღო გერმანიიდან კონტრიბუცია იმ უგონო აზრის წყალობით, თითქოს შესაძლო იყო მიეღო ფულები და არ გაუწია ანგარიში იმას, რომ ფულები არ არის. საფრანგეთი რომ ბრძენი ყოფილიყო, მას უნდა მიეღო გერმანიის წინადადება საფრანგეთის პროვინციებში ერთი წლის მუშაობის შესახებ. საფრანგეთი ტყუილად ფიქრობს გამოასწოროს თავისი მდგომარეობა გერმანიის კონტრიბუციით.

შვიდი ტყავი.

ნაუენი. 24 აგვისტო (რადიო). გაზ. „დეიჩე ალგემაინე ცეიტუნგის" აზრით გერმანიამ პირდაპირი და არა პირდაპირი გადასახადებით უკვე შეასრულა თავისი ვალდებულებანი.

ელზას-ლოტარინგიიდან გადასახლების გამო.

ბორდო. 24 აგვისტო (რადიო) სტრასბურგიდან იტყობინებიან, რომ დღეს ალაპეტს ქონდა პუანკარესთან თათბირი ელზას - ლოტარინგიაში მცხოვრებ გერმანელებისადმი იძულებითი ზომების მიღების შესახებ. ეს ზომები გაუქმებული იქნება, ვინაიდან კომპენსაციების საკითხი იმყოფება. სასურველად გადაჭრის წინაშე. ხოლო 12 აგვისტოს მომხდარი გერმანელების გადასახლება რჩება ძალაში.

ბერლინის მოლაპარაკება

ბორდო. 24 აგვ. (რად.). საკონტრიბუციო კომისიას დელეგატების მოლაპარაკებას კანცლერ ვირტთან ქონდა შემარიგებელი ხასიათი, მაგრამ კანცლერმა განაცხადა, რომ გერმანიას არ შეუძლია მისცეს ის გარანტიები, რომელსაც საფრანგეთი ითხოვს.

ერთი მეორეთ ღირს.

ბორდო. 24 აგვისტო (რადიო). გაზ. „ენტრან-სიჟანის" სიტყვით, საფრანგეთი არის ანტანტის გუშაგი რეინის საზღვრებზე. ის ხარჯავს ამ საზღვრების დამცველ ჯარის შესანახად 5 მილიარდ ფრანკს, მაშინ როდესაც ინგლისის მთელი სამხედრო ბიუჯეტი აღწევს 7 მილიარდ ფრანკს.

მდგომარეობა სერიოზული რჩება.

ბორდო. 24 აგვისტო (რადიო). გაზ. „ბერლინერ ტაგებლატის" ცნობით მოლაპარაკება გარანტიების შესახებ, დამთავრდა წინასწარი შეთანხმებით, მაგრამ საკონტრიბუციო კომისიის წრეებში მდგომარეობას მაინც სერიოზულად სთვლიან. გაზ. „პტი-პარიზენის" სიტყვით გერმანიას პოლიტიკური და ფინანსიური წრეები დიდ ნერვიულობას იჩენენ.

შუამდგომლობენ.

ნაუენი. 24 აგვისტო (რადიო). ფრანკფურტის საერთაშორისო მემალაროელთა კონგრესის დელეგაცია გაემგზავრა პარიზში, გერმანიაში ნახშირის საქმის მდგომარეობის შესახებ მოსახსენების გასაკეთებლად და საკონტრიბუციო კომისიის წინაშე შუამდგომლობის აღსაძრავად, რათა შემცირებულ იქნეს გერმანიიდან გასატანი ნახშირის რაოდენობა.

პუანკარეს სიტყვა:

მოსკოვი. 24 აგვისტო (რადიო). 21 აგვისტოს პუანკარე გამოვიდა სიტყვით საფრანგეთის გენერალურ საბჭოთა ახალ გახსნილ სესიაზე, რომელშიდაც განაცხადა, რომ გერმანიის მარკის დაცემა გამოწვეულია მხოლოდ რეიხსბანკის მიზან შეუწონელ საემისიო მოღვაწეობით და გერმანიის კაპიტალის უცხოეთში გასვლის გამო.

შეეხო რა ვალებს, პუანკარემ განაცხადა, რომ ძირითადი პირობა ვალების საკითხის მოსაწესრიგებლად არის უარის თქმა იმ შეხედულობაზე, რომლითაც გერმანიის ვალებს უთანასწორებენ იმ სახელმწიფოთა ვალებს, რომლებიც იბრძოდენ გერმანიის წინააღმდეგ.

თავისი სიტყვა პუანკარემ ასე დაამთავრა: „ჩვენ გვსურს დავრჩეთ მეგობრებთათვის მეგობრები, ჩვენ გვსურს განვაახლოთ მშვიდობიანი დამოკიდებულება ჩვენს მტრებთან, მაგრამ მოვითხოვთ ჩვენი ზარალის ანაზღაურებას, ის ანაზღაურებული იქნება"

ბელგია და მორატორიუმი

მოსკოვი 24 აგვისტო (რადიო). ბელგიის პრემიერმა განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ ცნობა იმის შესახებ, თითქოს ბელგიის მთავრობამ დაავალა თავის დელეგატებს თავი შეიკავონ მორატორიუმის საკითხისათვის კენჭის ყრის დროს—სიმართლეს არ შეეფერება.

კაპიტალიზმის სამეფოებში

გერმანიაში

ამნისტია გერმანიაში.

მოსკოვი. 24 აგვისტო (რადიო). „როტე ფანე" აქვეყნებს უმაღლეს სახელმწიფო ტრიბუნალის დადგენილებას პოლიტიკურ პატიმრების შესახებ, რომელთაც ბრალი ედებოდათ მარტის გამოსვლებში, მათთვის ამნისტიის გამოყენების შესახებ.

ტრიბუნალის დადგენილების თანახმად, კომპარტიის წევრთ ებერშტეინი გამორიცხულია იმ პირთა სიიდან, რომლებზედაც ვრცელდება ამნისტია, ვინაიდან მის წინააღმდეგ აღძრულია ბრალდება დაწვისათვის წაქეზებისა და გზების განზრახ გაფუჭების შესახებ.

გერმანიის გაფიცვები.

მოსკოვი. 24 აგვისტო (რადიო). გერმანიის რკინის გზელთა შორის იზრდება უკმაყოფილოება მთავრობის ახალ განკარგულებისადმი, სამუშაო დღის გადიდების შესახებ.

მთელ რიგ გაფიცვების საპასუხოდ, რომლითაც მოითხოვდენ სამუშაო ქირის მომატების, ხის დამმუშავებულ წარმოებათა მეპატრონეების კავშირმა გამოაცხადა ლოკაუტი.

— ჩრდილო-გერმანიის სასოფლო-მეურნეობის მუშების გაფიცვა გავრცელდა აგრეთვე ბრანდენბურგის ოლქშიდაც. გერმანიის ბურჟუაზიული პრესა ეწევა გააფთრებულ კამპანიას გაფიცულების წინააღმდეგ.

ინგლისი

მეზღვაურთა გაფიცვა

ბორდო. 24 აგვისტო (რადიო). კვირას გავრში დაიწყება შორს მოგზაურ მეზღვაურთა გაფიცვა.

უმუშევრობა

ნაუენი. 24 აგვის. (რადიო). ლონდონიდან მიღებულ უკანასკნელ სტატისტიკურ ცნობების თანახმად უმუშევართა რიცხვი ინგლისში აგვისტოს თვეში უდრიდა 1.332.000 კაცს.

ინგლისის სახაერო ფლოტი

მოსკოვი. 24 აგვისტო (რადიო). ინგლისის მთავრობამ დასდო კონტრაქტი ახალი ჰაეროპლანების ასაშენებლად, ღირებულებით 300,000 გირ. სტერლ. ამ რიგად, ამას წინად მიღებული პროგრამა, საჰაერო ფლოტის გადიდების შესახებ, ამ ჟამად ტარდება ცხოვრებაში.

საფრანგეთი

გვალვა და ტყეებში ცეცხლის გაჩენა.

ჰანოვერი. 24 აგვისტო (რადიო). ბორდოდან იტყობინებიან, რომ გვალვის გამო ტყეებში გაჩნდა ცეცხლი. ცეცხლის გაჩენის არე უდრის 60 კილომეტრს სიგრძით და 10 კილომეტრის სიგანით.

ბორდო. 24 აგვისტო. პარასკევიდან ცეცხლი უკიდია ტყეებს ჟირონდამო დაალანდში. ცეცხლი ყოველ დღე ძლიერდება და ედება ყოველ დღე 50 კილომეტრ არეს. ცეცხლი ღებულობს უდიდესი უბედურების ხასიათს. ბევრ ალაგას ცეცხლი შემოერტყა სოფლებს. ცეცხლის ჩასაქრობად მუშაობენ 2000 სალდათი და ცეცხლის მქრობელი რაზმები.

პოლონეთი

სეიმის გახსნის ვადის გადადება

ბორდო 24 აგვისტო. პოლონეთის სეიმის სესიის განახლება გადადებულია 19 ოქტომბრამდე.

პილსუდსკის გამგზავრება

ჰანოვერი 25 აგვისტო. პილსუდსკის გამგზავრება ბუქარესტში პოლონეთ რუმინიის კავშირის დასადებათ და რუსეთთან ურთიერთობის პოლიტიკის გამოსარკვევად, მოხდება არა უგვიანეს 6 სექტემბრისა.

ამერიკა

მემალაროების გაფიცვის გამო

ბორდო. 24 აგვისტო (რადიო). მემალაროეთა გაფიცვა ილინოისში დამთავრდა. სამუშაო ხელფასი დაწესებულია 1921 წლის განაკვეთის მიხედვით. ინდიანში გაფიცვა მალე დამთავრდება. სენატის კომისიამ მოიწონა სენატორ ბორახის წინადადება კომისიის დაარსების შესახებ, რომელშიაც პრეზიდენტ გარდინგი დანიშნავს მაღაროების მეპატრონეთა, მაღაროების მუშათა და მცხოვრებთა წარმომადგენელს.

მუშათა გამარჯვება

ბორდო. 24 აგვისტო (რადიო). ამერიკაში ფოლადის წარმოების ფაბრიკანტებმა განაცხადეს, რომ პირველი სექტემბრიდან ჯამაგირს მოუმატებენ 20 პროც.

იაპონია.

იაპონიის ფლოტი.

მოსკოვი. 24 აგვისტო (რადიო) იაპონია ახლო მომავალში შეუდგება ორ ახალ კრეისერის აშენებას, თვითეული 8, 500 ტონნას მოცულობით.

ისპანია

პირობით

ბორდო. 24 აგვის. (რადიო). ფოსტას მოსამსახურეებმა განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან მუშაობას შეუდგენ შემდეგი პირობით: 1. დათხოვნილ მოსამსახურეებისა თავის ალაგზე დაბრუნება, 2. არავითარი რეპრესია არ იქმნეს გაფიცულთა მიმართ, 3. გაფიცულთა მოთხოვნილების პარლამენტში შეტანა. პრემიერმა განაცხადა, რომ ეს პირობები მთავრობისათვის მიუღებელია.

უნებური გაძევება

ბორდო. 24 აგვის. (რადიო). მადრიდში კოროლის დაბრუნება გადადებულია. მთავრობის განწყობილება კიდევ ოპტიმისტურია, გაფიცვების განგრძობის მიუხედავად.

მუშათა ცხოვრება

მეფურნეები და შრომის კანონები

შრომის დაცვის კანონები არ მოსწონთ განსაკუთრებით მეფურნეებს. ისინი ხშირად არღვევენ მათ. მუშებს ითხოვენ თავის ნებაზე და იღებენ თავის ნებაზე. მათგან კანონების დარღვევამ სისტემატიური და მასიური ხასიათიც კი მიიღო.

მეფურნე სალაგოვმა, რომელსაც ფურნე აქვს ნიკოლოზის ქუჩა № 82, მოითხოვა ძალთა აღმნუსხველ განყოფილებიდან მუშა. ამ განყოფილებიდან გაგზავნილი მუშა არ აღმოჩნდა სპეციალისტი, მაშინ განყოფილებამ მის მაგივრად გაუგზავნა სპეციალისტი მეფურნე. მეფურნე სალოგოვმა ეს მუშა არ მიიღო. შემოიყვანა ერთი მუშა უკანა რიცხვით, ვითომ ამხანაგათ. ქარკომმა ეს არ დაამტკიცა საქმე შრომის კომისარიატში იქნა განსაჩივრებული, სადაც სოლოგოვი დაჯაარიმეს 10 მილიონი მანეთით და დაადგინეს აეძულებიათ სალოგოვი მიეღო ძალთა ამღნუსხველ განყოფილებიდან გამოგზავნილი მუშა. სამწუხაროდ დღემდი არაა სისრულეში მოყვანილი არც ერთი ეს დადგენილება.

მილიუტინის ქუჩაზე № 15 მეფურნე მანუსაჯევმა ყოვლად უმიზეზოთ დაითხოვა და ქუჩაში გააგდო ერთი მუშა. ამავე მეფურნემ ამ უკანასკნელ ხანებში მიიღო ორი მუშა ძალღმ-განყოფილების გარეშე. ეს მეფურნეც დაჯარიმებულ იქნა 10 მილიონი მანეთით, მაგრამ ჯარიმის გადახდევინება რაღაც მიზეზით შეაჩერეს.

სასურველია ასეთ გარემოებებს მეტი ანგარიში გაეწეროდეს და ყოველი დადგენილება მტკიცეთ იქნებოდეს შესრულებული.

ფურნეში მომუშავე.

სად არის შრომის ინსპექტორი

ბელინსკის ქუჩაზე № 45 არსებობს ვინმე ტალავერდოვის ფეხსაცმელების სახელოსნო. ამ ქუჩაზე ვცხოვრობ და ყოველთვის ვხედავ, რომ იქ მუშაობა სწარმოებს ადრე დილიდან ღამის 10 საათამდი. ამ სახელოსნოში არიან მცირე წლოვანიც. კარგი იქნება შრომის ინსპექტორი ერთხელ მაინც შეიხედავდეს იქ და თავხედ ხაზეინს აცნობებდეს, რომ არსებობს შრომის დაცვის კანონები, რომლის შესრულებაც სავალდებულოა მისთვის.

გამვლელი.

ანაშვილის ქაგრის სახელოსნო

ამ სახელოსნოში მუშაობს 4 მოზრდილი მუშა და ერთიც 13 წლის მცირე წლოვანი. ყველა მიღებულნი არიან ძალთა აღმნუსხველ განყოფილების გარეშე. მუშებს არა აქვთ დარიგებული საანგარიშო წიგნაკები. სახელოსნო ორ თვეზე მეტია რაც არსებობს და, მიუხედავათ ამისა, ზღვეულების ფულის შეტანა არ სწარმოებს. მუშები გასამრჯელოს ღებულობენ ცალკე შეთანხმებით და არა კავშირების ტარიფით. **შრომის ინსპექტორმა მას უკვე შეუდგინა ოქმი სასამართალში მისაცემათ.**

გ—ა.

გაუმაძღრობა

იმ დროს როდესაც შრომის ბირჟაში მრავალი უმუშევარია ჩაწერილი და უცდიან სამუშაოზე გაგზავნას, ზოგიერთი დაწესებულება-წარმოება გვერდს უვლის ძალთა აღმნუსხველ განყოფილებას და ღებულობს მუშებს ამ განყოფილების გარეშე. ასეთ გვერდის ავლას უეჭველათ ენერგიული ბრძოლა უნდა გაეწიოს. მაგალითად სახაზინო თეატრთან არსებობს ვინმე კერესელიძის რესტორანი „პავილიონი“ ამ რესტორანში ძალთა აღნუსხველ განყოფილების გარეშე მიღებულთა მოლარეთ ალექსანდრა ვლადიმირის ასული ქარცივაძე. ესევე ქარცივაძე მსახურებს თუთუნის მემანქანეთ. საჭიროა ასეთი გაუმაძღრობის გამოჩენისათვის ეს ქარცივაძე თუთუნის ტრესტში მუშაობიდანაც მოიხსნებოდეს.

უმუშევარი.

საბინაო კრიზისთან ბრძოლა.

საბინაო კრიზისთან ბრძოლის მიზნით უკვე შესდგა მუშათა საბინაო საამშენებლო კოოპერატივი „ცენტრაღმშენებლობის“ სახელწოდებით. ასეთი კოოპერატივებისათვის უკვე ხელსაყრელი პირობებია შექმნილი. თბილისის ქალაქის აღმასკომმა 12 აგვისტოს თარიღით დაადგინა მისცეს საუკეთესო მიწის ნაჭრები ასეთ კოოპერატივს. მეორე მხრივ არსდება კომუნალური საამშენებლო ბანკი, რომელიც გასცემს ამ მიზნით იაფფასიან და დიდ ვადიან სესხს. კოოპერატივის მიზანია მუშათა უბნების გაშენება, ქალაქ ბაღების მოწყობა, სახლების აშენება იაფი ბინებით, დაუთავებელ სახლების დათავება და არსებულ სახლების შეკეთება და სხვა. კოოპერატივის წევრათ შეუძლია იყვეს პროფკავშირის ყველა წევრს, რომელიც 18 წლისაა. ჩაწერა სწარმოებს ცენტროკავშირის ბინაზე მადათოვის ქუჩა № 11.

ჩვენი მოვალეობა

არასოდეს არც ერთი მთავრობის დროს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებასა და კეთილდღეობაზე ისეთი დიდი ყურადღება არ ყოფილა მიქცეული როგორც დღეს.

ეს ყოველ სინდისიერ და პატიოსან მუშისათვის ცხადია.

ყველა ჩვენთაგანმა კარგათ იცის, თუ რა იყო წარსულში. როგორც იქმნა ძველი ცხოვრების გადაშენებას მოვესწარით და შეუდექით ახალ ცხოვრებას, ახალ მუშურ-გლეხურ ხელისუფლების ხელმძღვანელობით, მენშევიკების სამი წლის ბატონობის ხანსაც არაფერი მოუტანია ჩვენთვის.

მაშინ ჩვენთვის არ იყო არავითარი განათლება, არ იყო ჩვენი შვილებისათვის სწავლა, რადგან ჩვენ შეძლება არ გვქონია, არ გვქონდა უფლება ჩავრეულიყავით ვაჟბატონ ხაზეინების საქმეში, ერთი სიტყვით ჩვენ მაშინ სხვისი შემყურე ვიყავით, მაგრამ ჩვენსკენაც გამოანათა მზემ და მოგვეცა საშვალება თავისუფლათ ამოსუნთქვისა. და მას შემდეგ რაც საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება ეს ნამდვილი მუშური ხელისუფლება, მას შემდეგ ჩვენ, მუშები, ვამაყობთ და ვიძახით: ჩვენ ვართ ერთმანეთის კონტროლიორი ერთმანეთის ხელისხელ ჩამკიდებელი და ჭირვარამის გამზიარებელითქო, და ჩვენ—მუშებს არავისათვის შესახვეწი არაფერი არა გვაქვს რადგან თვითონ ჩვენ ვართ გაბატონებული ჩვენივე მუშური პარტიით და მათი ხელმძღვანელობით. ამისათვის ყოველ ჩვენთაგანმა უნდა ვიცოდეთ თუ რას ნიშნავს ყოველივე ეს და რა არის ჩვენი მოვალეობა.

ყველა ჩვენთაგანმა უნდა იცოდეს თავის მოვალეობა დღევანდელ დღეს, როცა სახელმწიფოს ვაშენებთ; ყველანი მზათ უნდა ვიყოთ და ვართ კიდეც დავიცვათ საბჭოთა ხელისუფლების ინტერესები.

ვ. კალმახი.

შეურაცხყოფისათვის

ბორდო. 24 აგვისტო (რადიო). გაფიცულთა კომიტეტის წინააღმდეგ დაიწყო სასამართლოს ძიება პრემიერის შეურაცხყოფის გამო.

ავსტრია

მოლაპარაკება ვირტთან

ბორდო. 24 აგვისტო (რადიო). ავსტრიის და გერმანიის მოლაპარაკება ბერლინში სწარმოებს კანცლერ ვირტის თანდასწრებით. ავსტრიის გაჭირვებულ მდგომარეობის დასაძლევად საჭიროდ იქნა ცნობილი მეზობელ სახელმწიფოთა დახმარება.

ავსტრიის დელეგაციის გამგზავრება

ბორდო. 24 აგვისტო (რადიო). გუშინ ავსტრიის დელეგაცია გაემგზავრა ბერლინიდან ვენაში.

დემონსტრაცია ვენაში

ბორდო. 24 აგვისტო (რადიო). ვენაში პოლიციამ გარეკა ცივი იარაღით დემონსტრანტები, რომელნიც ცდილობდენ პარლამენტის შენობაში შესვლას, არის დაჭრილები.

იტალიის უკმაყოფილობა

ბორდო. 24 აგვისტო (რადიო). ავსტრიის კანცლერის მოლაპარაკება ბერლინში იტალიაში ახდენს ძლიერ უკმაყოფილო„ ჩთაბეჭდილებას. იტალიის წრეებში ფიქრობენ, რომ ავსტრია ვერ იპოვის გერმანიაში იმ დახმარებას, რომელიც მოკავშირეებს სურთ მათ გაუწიონ კატასტროფიულ მდგომარეობიდან გამოსასვლელად.

უარყოფა

ბორდო. 24 აგვისტო (რადიო) ვენაში უარყოფენ ხმებს თითქოს კანცლერ სეიპელმა წინადადება მისცა ჩეხო-სლოვაკიას მიიღოს სესხის მიცემის ნაცვლად ავსტრიის რკინის გზების კონტროლი.

იტალია

ჰაერით მიმოსვლა

ბორდო. 24 აგვის. (რადიო). იტალიის პრემიერმა განაცხადა, რომ ფრანგულმა კომპანიამ წინადადება მისცა იტალიას, მთელ იტალიაში ჰაერით ფოსტის გზავნის მოწყობის შესახებ.

იტალია და ბულგარეთი.

ბორდო. 24 აგვისტო (რადიო). გაზ. „ტრიბუნაში“ გამოქვეყნებულია ოფიციალური ნოტა. რომელიც განმარტავს იტალიის მთავრობის ნაბიჯებს ბელგრადში. ნოტაში ნათქვამია, რომ ავსტრიის რეორგანიზაციამ არ უნდა დაარღვიოს ევროპის წონასწორობა, რომელიც დამყარებულია იმ ხელშეკრულებით, რომლის შესრულება სავალდებულოა ანტანტის სახელმწიფოებისათვის და განსაკუთრებით ინგლისისათვის.

იტალია და სერბია.

ბორდო. 24 აგვისტო (რადიო). შანცერმა განუცხადა ნიტიჩს, რომ იტალიის მთავრობა სდგას იმ თვალსაზრისზე, რომ ის ხელშეკრულებები, რომელიც დაიდო სენ-ჟერმენში, ტრიანონში და რაპალოში, სისწორით უნდა იქნას შესრულებული. ნიტიჩმა განაცხადა, რომ ასეთივეა სერბიის თვალსაზრისიც.

ირლანდია

კოლინსის მკვლელობა

ნაუენი. 24 აგვისტო (რადიო). მოკლულ იქნა ირლანდიის მთავრობის ჯარების მთავარ სარდალი და ირლანდიის მთავრობის წევრი მაიკელ კოლინსი. მკვლელობა მოხდა კორკის რაიონში.

სამხედრო ოპერაციების დამთავრება.

მოსკოვი. 24 აგვისტო (რადიო). ირლანდიიდან მიღებულ ცნობებით, სამხედრო ოპერაციები თითქმის დამთავრებულია. აჯანყებულების დარჩენილი ნაწილი უკან იხევენ მთებისაკენ.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ბათუმი

ქალაქის აღმშენებლობა.

ქალაქში ახალი სახლები თითქმის არ შენდება. კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას საამისო საშუალება არ გააჩნია, ხოლო კერძო პირები არ ჰკიდებენ ხელს. კომუნალურ მეურნეობის განყოფილების მთავარი სამუშაო მდგომარეობს ახალი ბაზრის აშენებაში და კომუნალურ შენობათა შეკეთებაში. კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას კაპიტალური შეკეთება ჯერ არსად არ გაუწევია, თუმცაღა ამას მოითხოვს მუნიციპალიზაციით ჩამორთმეულ სახლების თითქმის ნახევარი, რასაც არა-ერთხელ აღნიშნავდა კომუნალური მეურნეობის განყოფილება თავის მოხსენებაში. ასეთ მდგომარეობაში არის კერძო სახლებიც.

ქრონიკა

◆ **პურის ულუფა პატიმართათვის.** სახალხო სასურსათო კომისარიატის ბრძანებით აგვისტოს 22-დან პურის რაციონი გადიდებულ იქნა როგორც პოლიტიკურ, ისე სისხლის სამართლის პატიმართათვის. ეხლა ეძლევათ დღეში გირვანქა ნახევარი პური სულზე.

◆ **უქმე.** შრომის სახალხო კომისარიატი აცხადებს, რომ ორშაბათს 28 აგვისტოს „მიძინება“ არის უქმე და წარმოება-დაწესებულებებში მუშაობა არ იწარმოებს.

◆ **მუშათა მოსახლეობა.** ცენტრალური საბინაო კოოპერატივი 1 სექტემბრიდან, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საამშენებლო განყოფილებისა და საამშენებლო ამხანაგობათა საშუალებით, რომლებიც უკვე მოწყობილია, შეუდგება მუშათა მოსახლეობისა და სახლების აგებას. პირველ რიგში ბოძის ჩადგმა მოხდება ვერაზე, ჯვარის—ძეგლთან, სადაც მუშათა მოსახლეობის მოსაწყობათ მოიპოვება 2 ნახევ. დეს. მოედანი. მეორე რიგში კი ყოფ. ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის ზემოთ ვერაზე, სადაც საამისოდ ქალაქმა გადასდო 1 ნახევ. დეს. მოედანი.

აგრეთვე აშენებული იქნება სანიმუშო სახლები ცარიელ ადგილზე, რომელსაც საზღვრავს მატინოვის და ვარდისუბანის ქუჩა და მლეთის შესახვევი.

◆ **საბავშო დღესასწაული.** საბავშო სეზონის დასრულების გამო კოჯორის საბავშო სახლების ბავშვები 28 აგვისტოს, დილის 11 საათზე, მე-6 საბავშო სახლის ეზოში, ქალაქ კოჯორში მართავენ გამოსამშვიდობელ დღესასწაულს.

ბავშვები თხოვენ ყველა კავშირების, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათა წევრებს, ბავშვებით დაესწრონ დღესასწაულს.

დღესასწაული ყველასათვის უფასოა.

◆ **მუშა ძალის მოძრაობა.** 21-დან 24 აგვისტომდე თბილისის შრომის ბირჟის მიერ აღნიშნულია 1171 უმუშევარის გამოცხადება, მათ შორის 543 მამაკაცი და 628 ქალი. კვლავ ჩარიცხულია 583, რომელთა შორის 391 მამაკაცია და 192 ქალი. შემოვიდა მოთხოვნილება 157-ზე, მათ შორის 108 კაცზე და 49 ქალზე. გაგზავნილია სამუშაოზე 150 უმუშევარი—107 მამაკაცი და 43 ქალი.

◆ **ბარაკების შეკეთება.** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა მიანდო ამხ. წივწივაძეს, ღლონტს, ბაქრაძეს და ვაშაკიძეს მოახდინონ ბარაკების დათვალიერება შეკეთებისათვის საჭირო საგნების გამოსარკვევათ.

პარტიული ცხოვრება

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის მოქმედება

(მაისი—ივლისი)

თბილისის კომიტეტის კონსტრუქცია ამ ჟამად ასეთია: 1. თბ. კ. ბიურო; 2 საორგანიზაციო განყოფილება, საინფორმაციო და აღმრიცხავი სტატისტიკური ქვეგანყოფილებებით; 3. აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილება; 4. ქალთა განყოფილება, 5. საქმეთა მმართველობა, საერთო და ფინანსიურ ქვეგანყოფილებებით, მთელი ქ. თბილისი იყოფა 4 რაიონად და 1 უბნად (მე-3 რაიონში).

პერიოდი კონფერენციის შემდეგ (მთელი მაისი) წარმოადგენს გარდამავალ პერიოდს, რომლის დროს თბილისის კომიტეტის ახალი შემადგენლობის (პარტკონფერენციაზე არჩეულის) მუშაობა ჯერ კიდევ ვერ მოექცა ნორმალურ კალაპოტში, ასე რომ მაისში თბ. კ. მუშაობა სუსტად მიმდინარეობდა.

ივლისში, დროებითი შენელების შემდეგ, იწყება ინტენსიური მუშაობა, და ასეთივე ტემპით მიმდინარეობს მთელ დანარჩენ დროს, დღემდე. თბ. კ. ბიუროს მუშაობის გასათვალისწინებლად ჩვენ მოვიყვანთ შემდეგი ციფრებს: 3 თვის განმავლობაში მოხდა პლენუმის 6 და ბიუროს 15 სხდომა. სხდომებზე გაირჩა 145 საკითხი, მათგან პარტიულ საორგანიზაციო—86, საბჭოთა აღმშენებლობის—26, პროფესიული და სხვა—33. ამ პერიოდის განმავლობაში მოეწყო 3 კომისია: საბჭოთა საარჩევნო კომისია, ურთიერთ დახმარების ფონდის ორგანიზაციის და კოოპერატიული.

საორგანიზაციო სფეროში ბევრი რამ არის გაკეთებული. რათამოესპო არა რეგულიარობა და უსისტემობა იაჩეიკების მუშაობაში, თბ. კომიტეტმა შემოიღო „ერთიანი პარტიული დღე“ და მიმაგრებულ მუშაკთა ინსტიტუტი. ამ ჟამად ითვლება 87, უჯრედებზე მიმაგრებული პასუხისმგებელი ხელმძღვანელი. პასუხისმგებელ მუშაკების განაწილების დროს მხედველობაში იყო მიღებული არა იმდენად უჯრედების რაოდენობა, რამდენადაც რაიონის წევრთა განვითარების პოლიტიკური და კულტურული დონე, აგრეთვე პასუხისმგებელ მუშაკების რიცხვი თვით რაიონში. „ერთიანი პარტიული დღის“ შემოღებიდან დღის წესრიგს უჯრედების სხდომებისათვის ადგენს მთელ ორგანიზაციისათვის თბ. კ.-ის აგიტაცია პროპაგანდის განყოფილება.

სხვა ორგანიზაციულ საქმეთა შორის აღვნიშნავთ შემდეგს: პროფკავშირებთან პარტორგანიზაციების კავშირის საკითხი განხილულ იქნა თბ. კომიტეტის მიერ პროფსაბჭოს წარმომადგენლებთან ერთად და დასახულ იქნა მთელი რიგი პრაქტიკული ნაბიჯები პარტორგანიზაციების მიერ პროფკავშირებთან კავშირისა დასამყარებლად; აგრეთვე საბოლოოდ გადაწყდა საკითხი კომპარტიის კავშირისა კომ. ახ. კავშირთან და მთელი რიგი ცირკულიარებით და პრაქტიკული ღონისძიებებით მოხერხდა მათი მჭიდროდ შეკავშირება.

უფრო ნაკლები მნიშვნელობის ორგანიზაციული საქმეებთან აღსანიშნავია მთელი რიგი ნაბიჯები პარტმშენებლობის დარგში, გადადგმული კომიტეტის მიერ საანგარიშო ხნის განმავლობაში, როგორც მაგალითად: მოგვარებულია საკითხები პარტიაში წევრად შემოსვლის და კანდიდატიდან წევრად გადაყვანისა, საწევრო ფულის რაოდენობის და გადახდევინების წესისა, უცოდინარების შემოსვლისა პარტიაში, ურთიერთ დახმარების კასის შექმნის და სხ. საკითხები.

უჯრედები ორგანიზაციაში ჯგუფდებიან წარმოებითი ნიშანდობის მიხედვით. კომუჯრედების რაოდენობა აღწევს 77, მათგან ფაბრიკა-ქარხნების—38, სატრანსპორტო—13, სამხედრო—5 და საბჭოთა 21. ორგანიზაციის წევრების და კანდიდატების რიცხვი უდრის 1944, მათგან კანდიდატია 441 და წევრი 1503, მამაკაცი—1695 და ქალი—249.

თბილისის ორგანიზაციის რაიონებში ინსტრუქციები ეძლევათ დელეგატების კრებებზე უჯრედების მდივნების თათბირზე და უჯრედების პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა თათბირებზე, რომელნიც იმართებიან სისტემატიურად. უჯრედების პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა თათბირებზე იხილავენ საკითხებს პარტმუშაობის მეთოდებზე და მუშაობის გეგმას უახლოეს დროისათვის. ასე რომ ერთიანი პარტიულ დღის და უჯრედების პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა ინსტიტუტის შემოღებიდან, უჯრედები მუშაობენ განსაზღვრული გეგმის მიხედვით.

მსხვილ მობილიზაც. საანგარიშო დროში ადგილი არ ჰქონია. ტარდებოდა წვრილი მობილიზაციები, როგორც მაგალითად, პარტსკოლებისათვის (გაწვეულ იქნა 160 კაცი), რაც არც კი ჩაითვლება მობილიზაციად, ვინაიდან ყველა ამხანაგები თავიანთ ადგილებზე მუშაობენ, ხოლო სკოლებში მეცადინეობენ საღამოობით.

გადავდივართ რა თბ. კ. აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების მუშაობის გაშუქებაზე, საჭიროა წინასწარ გამორკვეულ იქნას საკითხი, თუ როგორი კავშირი აქვს ამ განყოფილებას პროფესიულ და საბჭოთა კულტურულ-განმანათლებელ ორგანოებთან თბ. კ. აგიტგანყოფილებას არა აქვს მუდმივი კავშირი დასახელებულ ორგანიზაციებთან, მაგრამ დიდი პოლიტიკური კამპანიის გატარების დროს ეწყობიან კამპანიების გასატარებლად საერთო კომისიები, ს. პ. კ. ს. კულტ-განყოფილებასთან წარმოებს შეთანხმებული მუშაობა პოლიტ-განმანათლებელ (საკლუბო) მუშაობის სფეროში. პოლიტ-განათლების მთავარ სამმართველოსთან კავშირი იმაში გამოიხატება, რომ ის ტეხნიკურ სამსახურს უწევს პარტსკოლებს (ლიტერატურა, ფულით დახმარება და სხ.). „ოკას“ პოლიტსამმართველოს აგიტგანყოფილებასთან კავშირი გამოიხატება არმიაში აგიტკამპანიის საერთო ძალ-ღონით გატარებაში (მაგალითად, უცოდინარობის ლიკვიდაცია).

კავშირი კომ. ახ. კავშირთან მუდმივია თბ. კ. აგიტგანყოფილების მხრით დახმარების და ხელმძღვანელობის გაწევის აზრით.

საანგარიშო პერიოდის დასაწყისში პარტიულ მასსის პოლიტიკური აღზრდა ტარდებოდა უმაღლეს და დაბალ ტიპის მარქსისტულ წრეებში, მაგრამ ბოლო დროს გამოირკვა, რომ ეს არ არი დამაკმაყოფილებელი, მოგვიხდა წრეების დახურვა და მასსების პოლიტიკურ აღზრდის გადატანა პოლიტ-ანბანის წრეებში. ამ ჟამად თბილისის ორგანიზაცია დასერილია პოლიტწრეების ქსელით. თუ რამდენად დიდია თბილისის მუშების მისწრაფება პოლიტიკურ ცოდნის შეძენისა, სჩანს პოლიტწრეების იმ სტიქიურ ზრდიდან, როგორსაც ადგილი აქვს ამ ჟამად ორგანიზაციაში. ამ ჟამად ორგანიზაციაში ითვლება 23 წრე 500 კაცამდე მსმენელთა რაოდენობით. ამას გარდა, ორგანიზაციაში მოქმედებს, პოლიტანბანის 6 სკოლა. დასრულებულ მზადება მე-7, ქართულ სკოლის გასახსნელად. მსმენელებში ინტერესი დიდია, მეცადინეობის პროგრამის გაფართოვების მისწრაფებაც კი სჩანს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გატარებულ იქნა 12 კამპანია მიმდინარე მომენტის თემებზე.

საერთო კრებები ტარდებოდა ქალაქ თბილისის გამოუკლებლივ ყველა წარმოებებში. განსაკუთრებით ჩინებულად ჩატარდა საბჭოთა საარჩევნო კამპანია აგიტაციის მხრივ, რაც დაეტყო არჩევნების შედეგებს:

სულ არჩეულ იქნა 507 დეპუტატი; მათგან: 459 მამაკაცი და 48 ქალი; 330 მუშა, 210 ინტელიგენტი, 35 წითელ არმიელი და 31, სხ. დანარჩენი; 414 კომუნისტი, 12 კომ. ახ. კავშირის წევრი, 55 უპარტიო, 14 მემარცხენე ს.-ფ. და სხ. სულ საანგარიშო წლის განმავლობაში ჩატარებულ იქნა 518 საერთო კრება, რომლებსაც დაესწრო 125.864 კაცი.

უცოდინარობის ლიკვიდაცია ნორმალურად მიმდინარეობს. უცოდინარობა ორგანიზაციაში პარტიის წევრთა შორის თითქმის მოსპობილია.

ნაბეჭდი ლიტერატურა საანგარიშო დროში განაწილებულ იქნა 23.638 ცალი.

(დასასრული იქნება)

სარედაქციო კოლეგია

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი

აცნობებს იმ ამხ. სტუდენტ-სტიპენდიანტებს, რომელნიც იგზავნებიან რუსეთში, სწავლის დასამთავრებლად, რომ მათი გაგზავნა მოხდება

ამა წლის 2 სექტემბერს

30 აგვისტოს ყველა მათგანი თბილისში უნდა იყვეს.
ყოველ გვარი ცნობების მიღება შესაძლებელია, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტში.

თბილისის კომიტეტის მდივანი—**კახიანი.**

3—2

ქალაქ თბილისის საბჭოს ყველა წევრებს

თბ. საბჭოს პლენუმის

ა. წ. 14 აგვისტოს დადგენილების თანახმად, თბილისის საბჭოს ყველა წევრები ვალდებულნი არიან ჩაეწერონ აღმასრულებელ კომიტეტის ერთ-ერთ სექციაში, რომელსაც თვითონ საბჭოს წევრი ამოირჩევს, და ამიტომ აღმასრულებელ კომიტეტის სამდივნომ შეუდგა ჩაწერას და სთხოვს საბჭოს ყველა წევრებს ჩაეწერონ სამდივნოში დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე ყოველ დღე, გარდა კვირა უქმეებისა.

ჩაწერა სწარმოებს 10 სექტემბრამდე.

საბჭოს მდივანი **გ. ხუნდაძე.**

№ 196. 4—3

გაზეთის ტრესტის მთავარ

კანტორისაგან

რათა არ იქნეს შეწყვეტილი გაზეთების გზავნა, გაზეთის ტრესტის მთავარი კანტორა სთხოვს ხელის მომწერლებს თავის დროზე იზრუნონ ხელის მოწერის განახლებაზე.

ხელის მოწერა მიიღება თბილისის ყველა გაზეთებზე ხელის მოწერის ფასი ძველია. ხელის მოწერა მიიღება რამდენიმე თვისაც ამა წლის დასასრულამდე.

გაფრთხილება: ხელის მომწერლებს, რომლებიც არ შემოიტანენ მომავალ თვის პირველამდე აგვისტოს ხელის მოწერის ფასს, ან არ დაფარავენ თავიანთ ვალების ვალდებულებას, გაზეთები აღარ გაეგზავნება,

(0—29)

გაზეთის ტრესტის პროვინციალურ კონტრ-აგენტების

საყურადღებოთ

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორამ გაიგო, რომ ზოგიერთი კონტრ-აგენტები აჩერებენ 2—3 დღის გაზეთებს, რომელიც მათი საშუალებით ეგზავნებათ პარტიულ კომიტეტებს, აღმასკომებს და სხვ. გაცნობებთ, რომ გაზეთების შეჩერება დაუშვებელია. კონტრ-აგენტი, რომელიც შემჩნეულ იქნება გაზ. დაგვიანებაში, დაუყონებლივ დაჰკარგავს წარმომადგენლობის უფლებას და მიეცემა პასუხისგებაში.

(0—8)

საბავშვო დღესასწაული

ბავშვების ქალაქ კოჯორში

საბავშო სეზონის დასრულების გამო კოჯორის საბავშო სახლების ბავშვები 28 აგვისტოს, დილის 11 საათზე, მე-6 საბავშო სახლის ეზოში,

ქალაქ კოჯორში მართავენ გამოსამშვიდობელ დღესასწაულს.

ბავშვები სთხოვენ ყველა კავშირების, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათა წევრებს, ბავშვებით დაესწრონ დღესასწაულს.

დღესასწაული ყველასათვის უფასოა.

(კр. 214—1—1) საბავშო კოლონიის მმართველობა.

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.

(25—21)

ჟურნალისტების ცეხი

ორშაბათს, 28 აგვისტოს, მუშათა სასახლის ზევითა დარბაზში რუსთაველის (გოლოვინის) პროსპექტი—მე-5 სართული.

გაიმართება ჟურნალისტების ცეხის წევრთა

საერთო კრება

დღის წესრიგი:

1. მოხსენება დროებითი ბიუროს მუშაობის შესახებ; 2. ახალი ტარიფი; 3. მომავალი მუშაობის გეგმა; 4. მუდმივი ბიუროს არჩევნები და 5. მიმდინარე საკითხები.

კრების დასაწყისი დილის 11 საათზე.

თუ ამ დროისათვის ქვორუმი არ იქნა, მეორე კრება გაიხსნება 12 ს., რომელიც კანონიერათ ჩაითვლება, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს მას.

2—2

საქართველოს მუშა-ქალთა ფურცელი № 46

ქალთა შრომა კერძო წარმოებებში

იმ დროს, როდესაც ჩვენი მრეწველობის ზრდასა და განმტკიცებასთან ერთად შედარებით გაუმჯობესდა შრომის პირობები სახელმწიფო დაწესებულებებში და მუშათა ადგილობრივი პროფესიონალური კომუჯრედები არიან უფლება მოსილნი დამცველნი მუშათა ინტერესებისა, სულ სხვა მდგომარეობაა კერძო დაწესებულებებში, სადაც კერძო პატრონი ცდილობს გვერდი აუხვიოს საბჭოთა ხელისუფლების ყველა დეკრეტებს, გამოსწოვოს მოსამსახურეს უკანასკნელი სისხლის წვეთი, გააძევოს წარმოებიდან არჩეული დელეგატი ამა თუ იმ მიზეზის გამო. ურცხვ და მსუნაგ ექსპლოატატორთან ჩამოვარდნილ გამწვავებულ დამოკიდებულებათა ატმოსფერაში და ნამუშევრის ხელფასის დაკარგვის შიშში ხშირად იხშობა მუშათა კლასიური თვითშეგნება; ისინი წელში იხრებიან და მზად არიან უარი სთქვან იმ უფლებებზე, რომელნიც მიანიჭა მათ საბჭოთა ხელისუფლებამ და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა.

განსაკუთრებულ მძიმე პირობებში ჩააყენა ქალთა შრომა ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ. სახელმწიფო მრეწველობის გაერთიანებამ მისი ახალ გზაზე დაყენებამ, როდესაც ხელფასით მუშების დაკმაყოფილება უნდა ხდებოდეს საკუთარი საშვალებებიდან, გამოიწვია მუშათა ძალების შემოკლება და უფრო ღონიერ და გამოცდილ მუშათა არჩევის აუცილებლობა. ქალები და მოზარდეები, როგორც უფრო სუსტნი და ნაკლები გამოცდილების მქონენი დარჩნენ გარეთ, ისინი მიიზიდა კერძო წარმოებამ და ჩაცვივდნენ უხეში კაპიტალის ბასრ კლანჭებში. თუმცა საშვალებათა ნაკლებობა და ობიექტიური პირობები ხელს უშლის სავსებით იქნეს გატარებული ცხოვრებაში საბჭოთა ხელისუფლების კანონმდებლობა მუშა ქალთა შრომის დაცვის შესახებ სახელმწიფო მრეწველობაში, მაგრამ მაინც არსებობს იქ ისეთი მუშათა ორგანო, რომელიც ყოველთვის უწევს მათ მფარველობას და ხშირად თვითაც აქტიურად იცავს თავის უფლებებს, რადგან არა აქვს შიში თავის მდგომარეობისათვის მომავალში. სულ სხვა პირობებში იმყოფება დღეს მუშა ქალი კერძო წარმოებაში. უმეტეს შემთხვევაში ქალთა შრომით სარგებლობენ წვრილ წარმოებებში, სადაც მუშები ცოტაა—წვრილი საქსოვ ფაბრიკებში, სამკერვალოებში, საჩაიებში, რესტორნებში და სასადილოებში. წვრილ წარმოებებში, სადაც მუშათა მცირე რიცხვი უძლურია ორგანიზაციული წინააღმდეგობა გაუწიოს მეპატრონეს: ეს უკანასკნელი იძენს დიდ ძალას და გავლენას; უკრძალავს კავშირში წასვლას; თვით ნიშნავს სამუშაოს ხელფასს; ითხოვს ყველას ვინც კი გაბედავს და მიმართავს დაცვისათვის კავშირს და ან შრომის ინსპექტორს; თხოულობს პატივისცემით მოეპყრან მის პიროვნებას და სათანადოთ უსწორდება ურჩებს. ახლად თვალ ახელილი და საზოგადო ცხოვრებაში გამოსული მუშა ქალი, რომელიც ჯერ კიდევ არ მოღონიერებულა, ხელახლა ვარდება ძველებურათ კაპიტალის კლანჭებში, რომელიც ცდილობს გადააქციოს ის მორჩილ მონათ. შრომის დაცვის მოსკოვის განყოფილების მიერ სასამართლოში აღძრული საქმეები ნათლად მოწმობენ როგორის სიმძიმით აწვება კაპიტალი მუშა ქალებს. ერთ რაიონში სახალხო სასამართლომ მიუსაჯა მაღაზიის პატრონს ერთი წლის დატყვევება „კონცენტრაციულ" ბანაკში იმისთვის, რომ უკანასკნელმა არ მისცა დაწესებული დახმარება ორსულობაში მყოფ მოსამსახურე ქალს შვებულების დროს, კავშირის დელეგატ-ქალის თავის ნებით დათხოვისათვის, კავშირის უარყოფისათვის და იმ მოსამსახურე ქალების დათხოვისათვის, რომელნიც არ მოიქცნენ მისი სურვილის თანახმად მეორე ადგილას, საქსოვ სახელოსნოს პატრონმა აარჩია 16—18 წლის მუშა ქალები, ამუშავებდა მათ 12—14 საათს, არაფერს არ აძლევდა, ჯაბნებდა და ხშირად აპატიურებდა კიდეც.

ეს აშკარა ფაქტებია, რომელნიც ჩაუვარდა ხელში შრომის ინსპექტორს და რამდენია ასეთი შემთხვევები, რომელთა შესახებ არაფერი იცის არც შრომის დამცველ ორგანოებმა და არც პროფკავშირებმა.

რამდენი სპეციალური ხაფანგია დაგებული კაფეებში იქ მომუშავეთათვის: კიდევ გაჩნდნენ ფარული საგანგებოთ მოწყობილი კაბინეტები, სადაც აგზავნიან სამსახურის გასაწევათ მხოლოდ ლამაზ და კარგად ჩაცმულ ოფიციანტ ქალებს; შემოვიდა ხმარებაში „ჩაისთვის" საჩუქრები, რომელნიც აიძულებენ ამ უკანასკნელებს განსაკუთრებული ყურადღებით ემსახურონ საჩუქრის მიმცემთ.

შიმშილობის და უმუშევრობის შიში უფრო და უფრო ერეკება მუშა ქალებს გაუმაძღარ კაპიტალისტთა ხელში. დავიწყებულ მუშა ქალებისადმი ხელის გაწოდება; საზოგადო სამუშაოთა დაწესებით უმუშევარ ქალებისადმი დახმარება; პროფესიონალურ ორგანიზაციაში ჩაბმა კერძო წარმოებაში მომუშავე ქალებზე მუშა ქალთა განყოფილებების გავლენის გავრცელება ასეთ მუშა ქალებზე, რომელნიც მზათ არიან დაკარგონ კლასობრივი თვითშეგნება; ყოველგან და ყოველთვის გაეწიოს დახმარება თავის უფლებათა დაცვის ბრძოლაში—აი ის ამოცანა, რომელიც სდგას შრომის დამცველ ორგანოთა, პროფკავშირთა და ქალთა განყოფილებების წინაშე. არა მარტო მუშა ქალების მატერიალური ინტერესების და უფლებების დაცვა, მშობიარობის დროს უზრუნველყოფა და სხვა ამ გვარი საკითხები უნდა აინტერესებდეს პროფკავშირებს და ქალთა განყოფილებებს, არამედ კლასობრივ თვით შეგნების გაღვიძება და განვითარება, რომ მედგარი ბრძოლა გამოუცხადონ მსუნაგ მეპატრონეებს.

მშიშარა და მორჩილი მუშა ქალები, რომელნიც ვერ უბედავენ თავის „ხაზეინს" წინააღმდეგობას—ეს ისეთი პირებია, რომელნიც გაურბიან მუშათა ორგანიზაციების და კომუნისტურ პარტიის გავლენას. ისინი ივიწყებენ „პროლეტარულ რევოლიუციის" მონაპოვარს, თავის „ხაზეინის" უფლება მიაჩნიათ, როგორც საჭირო და აუცილებელი რამ, არა აქვთ წინააღმდეგობის გაწევის უნარი. პარტიული ორგანიზაციები ვალდებულნი არიან გააძლიერონ თავის მუშაობა კერძო წარმოებებში მომუშავეთა შორის, რომელნიც მოექცნენ „კერძო კაპიტალის" გამბრწყინელ გავლენის ქვეშ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ მუშა ქალს, რომელიც უფრო ჩამორჩენილია და დასუსტებული მრავალი წელთა განმავლობაში ნახევრად მშიერ არსებობით და შვილებზე მუდმივი მზრუნველობით. მუშა ქალთა განყოფილებები ვალდებული არიან მიაქცინ ყურადღება, რომ იმ წარმოებაში, სადაც არსებობენ იაჩეიკები, გამოყოფილი იქნეს იაჩეიკის ორგანიზატორი, უპარტიო მუშა ქალთა შორის მუშაობის საწარმოებლად. ისინი მჭიდროდ უნდა დაუკავშირდენ პროფკავშირებს ორგანიზაციულ მუშაობის საწარმოებლად იმ ფაბრიკებში, სადაც ქალთა შრომა სჭარბობს (დელეგატ ქალთა არჩევა, კრებების მოწყობა), ამასთან ერთად საჭიროა მჭიდრო კავშირი იქონიონ შრომის დამცველ ორგანოებთან, რომ უფრო მედგრად იბრძოლონ მუშა ქალთა ეკონომიურ პირობების გასაუმჯობესებლად.

ამ ნაირად შეიქნება მტკიცე ბაზისი კერძო წარმოებებში მომუშავე ქალთა შორის პოლიტიკურ მუშაობის საწარმოებლათაც.

ინსტრუქცია

მაზკომების ქალთა განყოფილებებს

ქალთა განყოფილება.

1. ყოველ მაზკომთან არსებობს ქალთა შორის მომუშავე განყოფილება, რომელიც პარტკომის განსაკუთრებულ განყოფილებათ ითვლება.

2. ქალთა განყ. გამგეთ ინიშნება პარტკომის წევრი; თუ ქალთა განყოფილების გამგე არ არის წევრი, მაშინ იგი ესწრება პარტკომის სხდომებს სათათბირო ხმის უფლებით.

3. ქალთა განყოფილება მუშაობს პარტკომის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ და აგიტპროპის და საორგანიზაციო განყოფილებასთან მჭიდრო კონტაქტში.

4. ქალთა განყოფილება იღებს სუფსიდიას პარტკომიდან იმავე სახით, როგორც სხვა განყოფილებები.

5. ქალთა განყოფილების მოსამსახურეთა შემადგენლობაა: გამგე და ერთი ან ორი ინსტრუქტორი (თანახმად ცენტრალურ კომიტეტის მიერ დაწესებულ შტატებისა).

ურთიერთ დამოკიდებულება პარტკომისა და ქალთა განყ. შორის.

1. ქალთა განყოფილებებმა უნდა იმუშაონ მჭიდრო კონტაქტში პარტკომის აგიტპროპისა და საორგანიზაციო განყოფილებასთან.

2. აგიტპროპთან შეთანხმებული მუშაობა გამოიხატება შემდეგში:

ა) ქალთა განყ. გამგე შედის აგიტპროპის განყოფილების კოლეგიაში და ესწრება განყოფილების ყველა სხდომებს;

ბ) ყველა კამპანიები და კონფერენციები ტარდება აგიტგანყოფილებასთან შეთანხმებით.

გ) განყოფილებათა შორის შექმნილ უთანხმოების დროს საკითხი გადააქვთ პარტკომის პრეზიდიუმის სხდომაზე;

დ) ქალთა განყოფილების მიერ გამართულ კრებებს ხელმძღვანელობას უწევენ აგიტგანყოფილების ძალები.

3. საორგანიზაციო განყოფილებასთან შეთანხმებული მუშაობა გამოიხატება შემდეგში:

ა) ქალთა განყ. წარმომადგენელი შედის საორგანიზაციო განყ. კოლეგიაში და ესწრება ყველა საორგანიზაციო განყოფილების კრებებს;

ბ) ყველა ინსტრუქციები და დადგენილებები საორგანიზაციო საკითხების შესახებ, რომელნიც ეხებიან ქალთა შორის მუშაობას, ირჩევიან საორგანიზაციო განყოფილებასთან ერთად და მათ ხელს აწერენ საორგანიზაციო და ქალთა განყოფილებები;

გ) უთანხმოების დროს საკითხი გადააქვთ პარტკომის პრეზიდიუმში;

დ) საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორები ასრულებენ ქალთა განყოფილების დავალებებს და რაიონიდან დაბრუნების შემდეგ ადგენენ წერილობითი მოხსენებას ქალთა შორის მუშაობის შესახებ;

ე) რაიონებში წასვლამდე ქალთა შორის მუშაობის დასათვალიერებლად ქალთა განყოფილება აძლევს მათ შესაფერ ინსტრუქციას.

4. ქალთა განყოფილებაში მომუშავეთა აღრიცხვა-განაწილება სწარმოებს საორგანიზაციო განყოფილების სააღრიცხვო საგანმანაწილებლო ქვე-განყოფილების მიერ, ქალთა განყოფილების მოთხოვნილების თანახმად.

5. ქალთა შორის მუშაობის შესახებ ანგარიში შედის ადგილობრივ ორგანიზაციების საერთო ანგარიშში.

6. ყველა ანგარიშების ასლები იგზავნება ცენტრალურ კომიტეტის ქალთა განყოფილებაში, ამ უკანასკნელის მიერ ადგილებისთვის ინსტრუქციების გამომუშავების დროს სახელმძღვანელოთ.

მუშაობა კომუჯრედებში.

1. ქალთა შორის მუშაობა ევალება კომუჯრედს, რომელიც გამოყოფს ქალთა შორის სპეციალურ ორგანიზატორს; თუ კომუჯრედს არ ყავს ნამდვილი წევრი, ეს მოვალეობა დაეკისრება პარტიის თანამგრძნობს, რომელიც მუშაობს კომუჯრედის ბიუროს კანტროლის ქვეშ, თუ ამ სამუშავოსათვის არ აღმოჩნდება შესაფერი მომზადებული ქალი, მაშინ ორგანიზატორათ ინიშნება მამაკაცი.

კომუჯრედის ორგანიზატორის მუშაობა.

1. წარმოებებში კომუჯრედის ორგანიზატორი აწარმოებს მთელ პარტიულ განმანათლებელ მუშაობას უპარტიო მუშა ქალებთა შორის ადგილობრივ ქალთა განყოფილების დავალებით.

2. ორგანიზატორი აერთიანებს თავის წარმოების ყველა საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანოებში დანიშნულ დელეგატ-ქალთა სამუშაოს.

3. კომუჯრედის ორგანიზატორი თავის მუშაობის ანგარიშს ურდგენს უჯრედის ბიუროს და ადგილობრივ ქალთა განყოფილებებს.

4. კომუჯრედის ორგანიზატორი შედის ბიუროში სათათბირო ხმის უფლებით (თუ ის პარტიის წევრია).

სოფლის კომუჯრედები.

1. ყოველ სოფლის კომუჯრედმა უნდა გამოყოს ორგანიზატორი, რომელიც: 1. იწვევს გლეხ ქალების საერთო კრებებს, 2. აწარმოებს მთელ პარტიულ-განმანათლებელ მუშაობას გლეხ ქალთა შორის თემის კომიტეტის და ადგილობრივ კომუჯრედის ბიუროს დავალებით, 3. თავის მუშაობის ანგარიშს უდგენს უჯრედის ბიუროს და თემის კომიტეტს.

მუშაობა თემის კომიტეტში.

1. თემის კომიტეტის მდივანი ვალდებულია ხელმძღვანელობა გაუწიოს ქალთა შორის მუშაობას იმავე თემში.

2. ქალთა შორის მუშაობის სფეროში დირექტივებს ღებულობს სამაზრო ქალთა განყოფილებიდან.

3. ქალთა შორის მუშაობის შესახებ ანგარიშს უდგენს სამაზრო ქალთა განყოფილებას და სამაზრო კომიტეტს.

4. ქალთა შორის მუშაობაში პასუხისმგებელია თემის კომიტეტი მთელი თავის შემადგენლობით და კერძოთ თემის მდივანი.

სამაზრო ქალთა განყ. მუშაობა.

1. ქალთა განყოფილება ხელმძღვანელობს თემის კომიტეტებს ქალთა შორის მუშაობის დარგში და კომუჯრედების ორგანიზატორებს.

2. იწვევს პერიოდულათ თემის კომუჯრედების ორგანიზატორების თათბირს, მათთვის საჭირო ინსტრუქციის შესამუშავებლათ (ორ თვეში ერთხელ).

3. ქალთა განყოფილება აწარმოებს მუშაობას განსაკუთრებით მუშა ქალების, გლეხ-ქალების და დიასახლისთა უპარტიო მასსას შორის და იზიდავს ამ მუშაობაში ქალთა კომუნისტურ პარტიის წევრებს იმ მიზნით, რომ გამოაღვიძონ ქალთა ფართო მასები, შეიტანონ მათში პოლიტიკური მეცნიერული განათლება და ჩააბან ისინი წარმოება აღმაშენებლობაში.

4. ქალთა განყოფილება კომუნისტ ქალებს შორის არ აწარმოებს სპეციალურ მუშაობას,—მუშაობა მათ შორის ტარდება საერთო პარტიულ წესით.

5. ქალთა განყოფილება აწარმოებს საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობასა ყოველგვარ კამპანიების ჩატარებით, რომელსაც ატარებს პარტია და თანახმად ცენტრალურ კომიტეტის ქალთა განყოფილების ცირკულიარისა; ბ) მართავს სისტემატიურ საერთო კრებებს მოხსენებებით საერთო პოლიტიკურ კითხვებზე, ქალთა მოძრაობის და საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ; გ) მართავს მიტინგებს, კონცერტებს და სხვა; დ) იწვევს სამაზრო კონფერენციებს ცენტრალურ კომიტეტის ქალთა განყოფილების დავალებით წელიწადში ერთხელ მაინც; იწვევს რეგულიარულათ თემის კონფერენციებს ორ თვეში ერთხელ, რომელზედაც ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით არჩევს ისეთ საკითხებს, რომელნიც უფრო აინტერესებს ქალებს. თემის კონფერენციების ჩასატარებლად იგზავნებიან ძალები მაზრის ცენტრიდან.

6) თვით სამაზრო ცენტრში რეგულიარულად ორ კვირაში ერთხელ უნდა იწვევდეს საქალაქო დელეგატების კრებებს იმ გამონგარიშებით, რომ დელეგატთა რიცხვი არ იყოს 25 ნაკლები. ამ დელეგატთა კრებებზე, რომელნიც ირჩევიან სამი თვით და წარმოადგენენ კომუნიზმის სკოლას, იკითხება განსაზღრული რიცხვი მოხსენებებისა ცენტრალურ კომიტეტის ქალთა განყოფილების ინსტრუქციის თანახმად.

7. საჭიროა დაარსდეს წრეები პოლიტკურ ანბანის შესასწავლად, რომლის ხელმძღვანელობა პარტკომმა უნდა დაავალოს ადგილობრივ პასუხისმგებელ მუშაკთ.

8. იქ, სადაც არსებობს ბეჭვდითი ორგანო, აუცილებლივ საჭიროა პერიოდიულათ, კვირაში ან ორ კვირაში ერთხელ, „ქალთა ფურცლის" გამოცემა ცენტრალურ კომიტეტის ქალთა განყოფილების ცირკულიარის თანახმად. ქალთა ფურცლების ნომრები უნდა იგზავნებოდეს რეგულიარულათ ცენტრალურ კომიტეტის ქალთა განყოფილებაში. სადაც ბეჭვდითი ორგანო არ არსებობს, იქ ქალთა განყოფილებას ევალება რეგულიარულათ თვეში ერთხელ მაინც მიაწოდოს ც. კ. ქალთა განყოფილებას მასალები ცენტრალურ ქალთა ფურცლებისათვის, თანახმად ქალთა ფურცლების შესახებ უკანასკნელ ინსტრუქციისა.

კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა

1 ქალთა განყოფილებები ვალდებული არიან დაიჭირონ მჭიდრო კავშირი წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კომისიასთან და აიძულონ ქალები შევიდნენ საანბანო სკოლებში, ან და შეძლების და გვარათ გახსნან მათთვის ცალკე საანბანო სკოლები.

2. ქალთა განყოფილებებმა უნდა გამართონ სჯა-ბაასი სხვა და სხვა თემებზე ხმა მაღლა კითხვა-ახსნით, მოაწყონ ბროშურების და გაზეთების, და კერძო ქალთა ფურცლების კითხვა და აგრეთვე ლიტერატულური ნაწარმოებთა კითხვა გარჩევა.

3. ლექციების და თათბირების გამართვა ბუნების მეტყველებაზე, მსოფლიო აღმშენებლობაზე, ჰიგიენაზე, ბავშვთა გაზრდაზე და სხვა.

4. ქალთა განყ. მართავს საუბარს წარმოებისა და სასოფლო მეურნეობის საკითხების შესახებ. მიზიდულ იქნეს ძალები სააგრანომო განყოფილებიდან კულტურულ ბაღოსნობის, მეაბრეშუმეობის და შინაურ ცხოველების მოშენების შესახებ საუბრის გასამართავად.

5. კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაში გვვალებათ მიიზიდოთ ინტელიგენცია, მასწავლებლები, ექიმები და სხვა.

კავშირი პროფკავშირებთან

ქალთა განყოფილებებმა უნდა იქონიონ მჭიდრო კავშირი პროფესიონალურ კავშირებთან, ს. კ. პ. ც. კ. ცირკულიარის თანახმად. დიდი სამაზრო პროფესიონალურ ბიუროები ნიშნავენ თავის წრიდან სპეციალურ ორგანიზატორ ქალს ქალთა შორის მუშაობის საწარმოებლათ.—პატარა მაზრებში, სადაც ძლიერ ცოტაა მუშა-ქალები, ქალთა განყოფილებებს უნდა ყვანდეთ თავიანთი წარმომადგენელი, რომელიც ესწრება პროფესიონალურ კავშირის ყველა კრებებს. საჭიროა მუშა ქალები იქნან არჩეულნი კავშირის გამგეობაში, ადგილობრივ კომიტეტში, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებში და სხვა და სხვა კომისიებში.

კავშირი დამშეულთა დამხმარე კომიტეტებთან.

დამშეულთა დახმარების საქმეში ქალთა განყოფილებებმა უნდა გამოიჩინონ განსაკუთრებული მოქმედება. ქალთა განყოფილების წარმომადგენელი შედის დამშეულთა დამხმარე კომიტეტში, ღებულობს აქტიურ მონაწილეობას საღამო-კონცერტების გამართვაში და დამშეულთა დამხმარე კომიტეტის ორკვირეულის მოწყობა-ჩატარებაში.

კავშირი საბჭოთა განყოფილებებთან.

1. ქალთა განყოფილება უნდა იყოს მჭიდროთ დაკავშირებული სახალხო განათლების განყოფილებასთან წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სფეროში, სოციალურ აღზრდის დარგში და ბავშთა ბაღების მოწყობაში.

2. ჯანმრთელობის განყოფილებასთან—დედათა და ბავშთა დაცვის, სამშობიარო და ბავშვთა სახლების მოწყობის სფეროში მოეწყოს ამ განყოფილებასთან კონსულტაცია.

3. შრომის განყოფილებასთან ქალთა შრომის დაცვის სფეროში.

4. სახალხო სასამართლოსთან—ქალთა განყოფილებამ განსაკუთრებული მონაწილეობა უნდა მიიღოს ბრალდებულ ქალის დაცვის საქმეში. იგი გამოდის აქ როგორც სრულ უფლებიანი დამცველი და ნაფიცი მსაჯული.

არტელების შექმნა.

ვინაიდან დიდი მნიშვნელობა აქვს ქალთა მასის ჩაბმას წარმოებაში, ერთი მხრით, უმუშევრობასთან ბრძოლას მეორეს მხრით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არტელების შექმნას, რისთვისაც ქალთა განყოფილებამ უნდა დაიჭიროს მჭიდრო კავშირი სამეურნეო ორგანოებთან, როგორიც არის ეკონომიური განყოფილებები, სახალხო მეურნეობის. საბჭო.

მონაწილეობის მიღება კოოპერატივებში.

ვაძლევთ რა დიდ მნიშვნელობას კოპერაციაში ქალთა მონაწილეობას, ქალთა განყოფილებებისათვის საჭიროა შეკავშირება კოოპერატიულ ორგანოებთან, ღრმად გაფართოვება კოოპერაციის იდეისა, ლექციების გამართვა თუ რა ნაყოფი მოაქვს კოოპერაციას საერთოდ და განსაკუთრებით მშრომელ ქალებისათვის, ქალებს კანდიდატურის წამოყენება საარჩევნო თანამდებობაზე, კოოპერაციის გამგეობაში და სხვა და სხვა კომისიაში.

ამ ინსტრუქციის ცხოვრებაში გატარება ევალება თავის პასუხის მგებლობის ქვეშ პარტკომის მდივანს.

ქალთა განყოფილების ანგარიშში საჭიროა ვრცლად და სწორად იქნეს ნაჩვენები მატერიალური მუშაობა და თან აღინიშნოს მუშაობის შემაფერხებელი მიზეზები.

ქალთა განყოფილების ანგარიშზე, რომელიც იგზავნება ს. კ. პ ც. კ. ქალთა განყოფილებაში, საჭიროა პარტკომის მდივანის ხელის მოწერა.

ს. კ. პ. ც. კ. მდივანი **ხახაშვილი**

ქალთა განყ. გამგე **გახგიანი**

ნახევარ საათის დასვენება ფაბრიკაში

საუკეთესო დროთ ფაბრიკაში ითვლება დასვენების დრო. აი უკვე 11 საათია. სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა, ყველა მუშები გაცხოველებული, გაწითლებული ფუსფუსებენ შესრულონ თავის სამუშაო. აქა იქ გაისმის ხმები: „მე უკვე გავათავე", „მე ოცი კოლოფალა მაკლია" და სხვა. ყოველ წუთში გვეკითხებიან თუ რა დროა. მინდა მივეხმარო, ბოლოს ისმის სანატრელი საყვირის ხმა.

მიცვივდა ყველა პირის და ხელების დასაბანათ. ისმის ხუმრობა „რა ამბავია, როგორ არ რცხვენიათ—წყალი არაა, მისი რიგია წყლის მოტანა". ერთი ამხ გი დიდი ვედროთი ხელში მირბის წყლის მოსატანათ. ყველა სიჩქარით იბანს ხელს. შემდეგ საუზმობენ.

მერე მუშები ჯგუფ ჯგუფად გადიან ეზოში. საუბრობენ სხვა და სხვა, უმთავრესად პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ხასიათის თემებზე.

მოულოდნელად ისმის საყვირის ხმა, ყველა მირბის თავის სახელოსნოში სამუშაოს დასასრულებლად, ასე გადის დრო, რომელსაც შეაქვს დიდი სიცოცხლე ფაბრიკის ერთ-ფეროვან ცხოვრებაში.

მუშა-ქალი.

რა მუშაობა გატარდა ქალთა შორის რკინის გზის საავათმყოფოში

რკინის გზის საავადმყოფოს 270 მოსამსახურეთაგან 70 პროც. შეადგენენ ქალები და ეს იქნებოდა ჩვენი დიდი სისუსტე, რომ არ გვემუშავა მათ შორის. ადგილობრივ იაჩეიკა აქცევს დიდ ყურადღებას ქალთა შორის მუშაობას და ყოველ დღე იმართება ლექცია; განსაკუთრებული ყურადღებით იქნა წაკითხული დედათა და ბავშთა დაცვის საკითხის შესახებ. ამ საკითხმა ძალიან დააინტერესა მუშა-ქალები. პოლიტიკურ წრეში ერთი ქალი მუშაობს, რკინის გზ. რაიკომში არჩეულია ერთი ქალი, საკონფლიქტო კომისიაში—1 და სარევიზიო კომისიაში—1 ქალი.

წერა-კითხვის უცოდინარი ქალები სწავლობენ წერა-კითხვის უცოდინართა შკოლაში.

კომიაჩეიკაში ოთხმა ქალმა შემოიტანა განცხადება, რათა მიიღონ ისინი პარტიაში.

რკინის გზ. სამმართველოში არსებობს ბავშთა ბაღები, სადაც მუშა-ქალებს მოაქვთ თავისი სამუშაო და მუშაობენ იქ. დიდი ყურადღებით ეკიდებიან ბავშთა ბაგეებს ქალები და მუშაობა მიმდინარეობს დასაკმაყოფილებლად.

მოხსენება დედათა და ბავშვთა დაცვის შესახებ

(პირველ რაიონში)

ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველოს მოსამსახურეთათვის ექიმმა ალდტ ულლერმა გააკეთა მოხსენება დედათა და ბავშთა დაცვის შესახებ. ფორმის მხრივ მოკლე, ნათელ და შინაარსიანი, მდიდარ ლექციაში ექიმის მიერ გადმოცემულია ფრიად სასარგებლო და საყურადღებო ცნობები, როგორც დედებისათვის, აგრეთვე ბავშთა ცხოვრებით ყველა დაინტერესებულთათვის.

პირველად მომხსენებელმა აღნიშნა მთელი რიგი ძვირფას დარიგებებთა ბავშვების მოვლის და გამოკვების შესახებ. მათ პირველ პერიოდში და ქალთა მიერ თავის თავის მოვლის შესახებ ორსულობის დროს. შემდეგ მან აღნუსხა ის საშუმლებანი, რომლითაც სახელმწიფო ეხმარება დედებს და ებრძვის ბავშვთა სიკვდილიანობას. ეს საშვალებანი შემდეგია: ბავშთა თავშესაფარის მოწყობა, სადაც სამსახურში მყოფ დედას თავისუფლად შეუძლია დასტოვოს ბავშვი დარწმუნებული იმაში, რომ მის შვილს ექნება იქ გონიერი მოვლა-პატრონობა; ბავშვთათვის სპეციალურ საავათმყოფოების მოწყობა და სხვათა შორის ისეთების, სადაც ბავშვებს არჩენენ მხოლოდ რძის საშუალებით; ბავშთა ამბულატორიების მოწყობა, სადაც ბავშვებს სინჯავენ სპეციალისტები, წონიან მათ და აძლევენ დარიგებებს ცალკე თვითეულ ბავშვს მათი ინდივიდუალობის (პირად თვისებების) მიხედვით. სტატისტიკურ ცნობებიდან ვიცით, რომ ბავშთა სიკვდილიანობა მაგ. რუსეთში ძალიან დიდი იყო და ზემოხსენებულ საშუალებებით საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო დაეწია იგი 17-დან 10 პროცენტამდის. მოხსენების შემდეგ მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა მომხსენებელსა და მსმენელთა შორის ბავშვთა მოვლის და გამოკვების სხვადასხვა საშუალებათა შესახებ.

ბოლოს გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

ალძრას შუამდგომლობა, რომ გაიხსნას რკინის გზის საავადმყოფოსთან ბავშვთა ამბულატორიები ზემოაწერილ ტიპისა, სადაც ბავშვთა მიღება უნდა ხდებოდეს სამსახურის დროის გარეშე.

სტური.

მუშა-ქალის მოგონება წარსულ ცხოვრებაზე

საწყალ გლეხის შვილს ექვსი წლის გოგოს თვითონ მომიხდა მეშრომა ლუკმა პურისათვის, მახსოვს, ბავშობის დროს თუ როგორ მინდოდა სწავლა განათლების მიღება, მაგრამ არა მქონდა საშუალება იმისაც, რომ წერა-კითხვა შემესწავლა. ჩემი „ქალბატონი" ყოველთვის ასე მელაპარაკებოდა! „რა საჭიროა შენთვის სწავლა, ეს შენთვის სრულებით არაა საჭირო, შენ ვერ შესძლებ წერა-კითხვის შესწავლას, აი შეხედე ჩემ შვილებს, სწავლა მხოლოდ მათთვის არის და ისინი შესძლებენ. შენ კი უნდა ისწავლო: ქვაბების გაწმენდა და აალაგო ბატონთა ოთახები,—აი შენი სამაცადინო, თუ გინდა მე შენ ამას გასწავლი"-ო. როდესაც უფრო მოზარდი შევიქენი, რამდენი ტანჯვა, წვალება და დამცირება შემექნა გადასატანი.

ყოველ დღე ჩემს ხელებზე იზრდებოდა ახალ-ახალი მაზოლები, მაგრამ მაინც ადამიანური მოპყრობას ვეღარ ვხედავდი. მეპყრობოდნენ ისე, როგორც მონას და არა ისე, როგორც ადამიანს. როგორ მტკიოდა და მიტანჯებოდა გული, როდესაც შემ[illegible] თვალ წინ [illegible] სხვის შრომის ექსპლოატაციით [illegible]

[illegible]

მუშა-ქალი ანნა.

ოქროს საყურეები

ეს საყურეები ეკუთვნის 2 ლი სახელმწიფო ქართველ ქალთა სამკერვალოს მუშას სახელათ **მაიას.** ეს ამხანაგი გახლავთ ძველი მუშა, 1905 წელში უმუშავია სოციალისტებთან. ეხლა, როგორც მოხუცებულს, კერვა აღარ შეუძლია და ამის გამო მხოლოთ მას აბარია დიასახლისობა. ქარხნას ასუფთავებს და ჩაის გვიდუღებს მუშებს. ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც შიმშილს განვიცდიდით, ამხანაგმა მაიამ ჩვეულებრივათ გააჩერებინა მატორი მექანიკს, შემოვიდა ქარხანაში და მოგვიწოდა, რომ ჩაი დავლიოთ. ჩვენც, მუშები, გამოვდივართ გარეთ მაიას სიტყვაზე და მივდივართ მაგიდისაკენ სადაც ჩაი უნდა დავლიოთ. მაგრამ გვშია, მარტო ჩაი რას გვიზამს. მაიას გულკეთილობამ ვეღარ იმოქმედა ჩვეულებრივათ. ის დაალონა იმან, რომ ჩვეულებრივათ მისი სტუმრები მაგიდას აღარ მოუსხდენ, შიმშილისაგან გული გვიწუხდა. ამ სურათს მაია ვეღარ უყურებს. გადის და ოქროს საყურეებს იძრობს ყურიდან და მიდის მეპურესთან [illegible]

[illegible] მაია ანუგეშებს თავის ამხანაგებს: [illegible]

გაუმარჯოს [illegible]

მარიამ [illegible]